ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

5 ივნვრიდან!

„ახალი თაობა“+ გურამ მეგრელიშვილი ორი მილიონი უფასოდ

წიგნი და გაზეთი ერთად 1 ლარი




ხუთშაბათი, 5 იანვარი, 2012 №3 (5694) ფასი: 30 თეთრი

# ვანო მერაბიშვილი ინტერნეტით ჩვენს მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს აგროვებს

## რატომ დაინტერესდა შს სამინისტრო მაწანწალა ძაღლების თემით?


გვ. 4

# რას უპირებს კონტროლის პალატა ოპოზიციას


გვ. 2

## ხელისუფლების გაყოფა „ვარდოსნულად“

ბიძინა ივანიშვილის პარტიას კახი კალაძე ჩაუდგება სათავეში?


გვ. 7


გვ. 3

## რა საფრთხეს შეიცავს ზურაბ ადეიშვილის ბრძანებულება

რისი შეცვლა შეუძლია „საკანონმდებლო მაცნეს“?


გვ. 4

გიორგი ტუღუში: „26 მაისის დარბევა თავიდან ბოლომდე შესასწავლია“

ხათუნა კალმახელიძე გვპირდება, რომ 2012 წელს ევროპულ ციხეებში გამოგვკეტავს გვ. 6





ჰამლეტ ჭიპაშვილი: „ბიძინა ივანიშვილი ჯერ ძალად არ ჩამოყალიბებულა“ გვ. 5

„ახალი თაობა“+ რონალდ რეიგანი 8 ლარი 3 იანვრიდან




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**3** ლეიბორისტები „112“-ის გადასახადის გაუქმებას მოითხოვენ

**3** „მაესტროს“ მმართველი კომპანიის თანამშრომლებს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდათ

**2** დავით უსუფაშვილი: „კონტროლის პალატას ჯერ გამოსაქვეყნებელი აქვს ის წესები, რომლითაც პარტიების შემოწმებას აპირებს“

**6** „ჰიუმან რაითს უოჩი“ ვანო მერაბიშვილს იზოლატორებს უწუნებს

# რას უპირებს კონტროლის პალატა ოპოზიციას

თეა მარხვაიძე

**ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის სურვილით გახელებულმა ხელისუფლებამ მთელი რიგი კანონები მიიღო და ცვლილებები შეიტანა. რაკი ბიძინას ბევრი ფული აქვს, ცხადია, ის ამ ფულს თავის პოლიტიკური პარტნიორებისთვის არ დაინანებს. ეს ნაციონალებმაც კარგად იციან. სხვა თუ არაფერი, კარგად ახსოვთ, რა გულუხვად აფინანსებდა მათ ბიზნესმენი. მაშინ მის ფულებს რატომღაც კრემლის იერი არ დაჰკრავდა და არც მის მიერ გადარიცხული მილიონები წააგავდა პუტინის აჩრდილს.**

ახლა ყველაფერი შეიცვალა. ნაციონალებს ბიძინას ფულები იმდენად უყვართ, რომ ეს თანხები ოპოზიციისთვის არ ემეტებათ. ერთ დროს მათმა ბიძინამ ოპოზიციას ფულები რომ არ დაახარჯოს, ამისთვის კანონს-კანონზე იღებენ.

ისე რა ამის პასუხია და ამ თავგამოდებისთვის ივანიშვილმა ნაცმოძს მადლობა უნდა გადაუხადოს. ამით ის ბევრ ფულს დაზოგავს. ოპოზიციაში ბევრი გაქნილი ადამიანია და მათ ფულის შოვნის სერიოზული ალღო აქვთ. მათმა ნაწილმა ცხონებული პატარკაციშვილისაგანაც კარგად იშოვა ფული. მერე კი ყველამ ზურგი შეაქცია.

წესით ივანიშვილმა პატარკაციშვილის მაგალითი უნდა გაითვალისწინოს. თუმცა ფული მისია და რასაც უნდა იმას უზამს.

გასული წლის ბოლოსვე გავარკვიეთ, რომ პოლიტიკური პარტიების მიერ ფულების ტრიალს კონტროლის პალატა შეამოწმებდა. ორი დღის წინ კონტროლის პალატამ ეროვნულ ბანკთან მემორანდუმი გააფორმა. გუშინ კი სპეციალურად შექმნილი მონიტორინგის სამსახურის პრეზენტაცია გაიმართა.

კონტროლის პალატაში პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურს ნათია მოგელაძე უხელმძღვანელებს.

მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი დღევანდელ ბრიფინგზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ, ლევან ბეჟაშვილმა წარადგინა.

პარტიების ფინანსების გამაკონტროლებელი მოგელაძე პროფესიით იურისტია და მთავარ პროკურატურაში პროკურორად მუშაობდა.

კონტროლის პალატას, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, დაევალა საქართველოში რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის განხორციელება.




ლევან ბეჟაშვილი და ნათია მოგელაძე

## პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს ნათია მოგელაძე განახორციელებს

– პარტიებისთვის საინტერესო ინფორმაცია განთავსდება კონტროლის პალატის ვებგვერდზე. პარტიებს ექნებათ საშუალება, ნებისმიერი კითხვა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ გააგზავნონ კონტროლის პალატის ელექტრონული მისამართზე, – განაცხადა გუშინ გამართულ ღონისძიებაზე ლევან ბეჟაშვილმა.

ლევან ბეჟაშვილის თქმით, კონტროლის პალატამ ცხრილების სახით შეიმუშავა ანგარიშგების ფორმა, რომელიც განთავსებულია პალატის ვებგვერდზე. ასევე, პოლიტიკური პარტიების მიერ ინფორმაცია ნებისმიერი სახის შემოწირულობის მიღების შესახებ უნდა გადაიგზავნოს ელექტრონული ფორმით.

– კონტროლის პალატის ვებგვერდზე განთავსებულია ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება პოლიტიკურ პარტიებს 2012 წლის 1-ელ თებერვლამდე აქვთ, – განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

კონტროლის პალატის შეფმა პოლიტიკურ პარტიებს გარკვეული დავალებები მისცა.

– 4 იანვრიდან პოლიტიკურ პარტიებს გაეგზავნათ შესაბამისი წერილები. მათ დაევალათ, გამოყონ პასუხისმგებელი და საკონტაქტო პირები პარტიის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით. ასევე, კონტროლის პალატა აქტიურ კონსულტაციებს გაუწევს პოლიტიკურ პარტიებს საკუთარი ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცედურებთან დაკავშირებით, – აღნიშნავს ერის პირველი მაკონტროლებელი.

ბეჟაშვილის თქმით, ნებისმიერი შემოწირულობის შესახებ პოლიტიკურმა პარტიამ კონტროლის პალატას ინფორმაცია უნდა მიაწოდოს შემოწირულობის განხორციელებიდან 3 დღის ვადაში.

– საარჩევნო კამპანიის განმავლობაში კი, ფინანსური ანგარიშები პარტიებმა სამ კვირაში ერთხელ უნდა წარადგინონ. რაც შეეხება პირველ ფინანსურ ანგარიშებს, კანონის მიღების შემდეგ პოლიტიკური პარტიები ვალდებულები არიან, ანგარიშები წარადგინონ პირველ თებერვლამდე; ანგარიში უნდა მოიცავდეს 2011 წლის პირველი ნოემბრიდან 2012 წლის 1-ელ იანვრამდე პერიოდს, – ამბობს ბეჟაშვილი.

კონტროლის პალატაში იმედოვნებენ, რომ პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთთანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი.

ეს კი მაკომტროლებელთა თქმით,. მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პარტიების ფინანსური საქმიანობისა და ზოგადად საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას.

პარტიებთან დაკავშირებული პირების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს კონტროლის პალატა მას შემდეგ დაიწყებს, რაც პარტიათა გასული წლის ანგარიშებს შეისწავლის.

როგორც „ინტერპრესნიუსს" კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილმა განუცხადა, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება, თუ რა ხარჯები და ტრანზაქციები განახორციელეს პარტიებმა 2011 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ნათელი გახდება, თუ რა კავშირები შეიძლება არსებობდეს პარტიათა მხრიდან სხვა ორგანიზაციებთან და პოლიტიკურად აქტიურ პირებთან.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საკანონმდებლო ცვლილებით, ახალი რეგულაციები გავრცელდება და, შესაბამისად, კონტროლის პალატის მონიტორინგის ქვეშ მოექცევიან პარტიებთან დაკავშირებული პირებიც. კერძოდ, იურიდიულ პირი, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული პარტიასთან, სხვაგვარად იმყოფება პარტიის კონტროლის ქვეშ ან აქვს განცხადებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები; იურიდიული პირი, რომელიც წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით მოუწოდებს ამომრჩეველს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერისკენ ან მხარდაჭერისაგან თავის შეკავებისკენ და იურიდიული და ასევე ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს განცხადებული პოლიტიკური და საარჩევნო მიზნები და ამოცანები, მასთან დაკავშირებული პირი, აგრეთვე მასთან საქმიანი ურთიერთობის მქონე პირი, რომელსაც აქვს პოლიტიკური და საარჩევნო მიზნები, ან ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნებში, პლებისციტსა და რეფერენდუმში საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოვლენაზე და ეს ქმედებები ხორციელდება ახალი კანონმდებლობის რეგულაციებისთვის გვერდის ავლის მიზნით.

ამას გარდა, აღნიშნულ დაკავშირებულ პირებს ჰქონდათ ვალდებულება, რომ „კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით" მიღებული და დაუხარჯავი თანხები დაებრუნებინათ მათი გამცემისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართულიყო.

თუმცა, გასულ წელს მოქმედი კანონით, ასეთ პირებს არანაირი ვალდებულება არ ჰქონდათ და, შესაბამისად, გაუგებარი რჩება, რომელი კანონის მოთხოვნის დარღვევით უნდა ჰქონდეთ თანხები მიღებული.

– ამ საკითხზე ლევან ბეჟაშვილი ამბობს, რომ ასეთ პირებთან მიმართებაში, კონტორლის პალატას ცალკე რეგულაციები ექნება და შეიქმნება მათი რეესტრიც. „ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს განსაზღვრავს კანონი, პოლიტიკური პარტიების შემოწმების შემდეგ კი გვექნება ნათელი წარმოდგენა და ამის შემდეგ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებული, – განმარტა ბეჟაშვილმა.

მანვე კონტროლის პალატის პრიორიტეტად დაასახელა ასეთ ადამიანებთან კონსულტაციები, მათთან შეთანხმებები და პოლიტიკური პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და სამართალდარღვევების პრევენცია.

ოპოზიციას ამის არ სჯერა და მიაჩნია, რომ ხელისუფლებას სხვა და შორს მიმავალი გეგმები აქვს.

## „დემოკრატიული მოძრაობა" ილია II-ს დაბადების დღეს ულოცავს



ნინო ბურჯანაძე და „დემოკრატიული მოძრაობა" უწმინდესსა და უნეტარესს ილია II დაბადების დღეს ულოცავს.

– უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე გახლავთ. კათალიკოს-პატრიარქის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თითოეული დღე სავსეა საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე ზრუნვით, მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით, სათნოებითა და სასოებით, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ნინო ბურჯანაძე და „დემოკრატიული მოძრაობა"კათალიკოს-პატრიარქს უსურვებენ ჯანმრთელობას, მხნეობასა და დიდ ხანს სიცოცხლეს. „დაე, მისი ლოცვა-კურთხევის მადლი კიდევ დიდხანს იფარავდეს და ეწეოდეს საქართველოს და სრულიად მართლმადიდებელ სამყაროს", – აცხადებენ ბურჯანაძის პარტიაში.

ცნობისთვის: საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს დღეს 79 წელი შეუსრულდა.

მედიანიუსი

## დავით უსუფაშვილი: „კონტროლის პალატას ჯერ გამოსაქვეყნებელი აქვს ის წესები, რომლითაც პარტიების შემოწმებას აპირებს"



რესპუბლიკური პარტიის ლიდერ დავით უსუფაშვილს აინტერესებს ის წესები, რომლითაც კონტროლის პალატა ნაციონალური მოძრაობისა და ოპოზიციური პარტიების ფინანსურ მონიტორინგს აპირებს. ამის შესახებ უსუფაშვილმა „მედიანიუსთან" საუბრისას განაცხადა.

– უპირველეს ყოვლისა, კონტროლის პალატას გამოსაქვეყნებელი აქვს ის წესები, რომლითაც ნაციონალური მოძრაობისა და ოპოზიციური პარტიების შემოწმებას აპირებს. საინტერესოა, კანონის იმ მოთხოვნებს, რომელიც პარლამენტმა და პრეზიდენტმა დაადგინეს, კონტროლის პალატა როგორ გაუმკლავდება... ამ ყველაფერს რომ გამოაქვეყნებენ, შემდეგ ვისაუბროთ. ზოგადად კი, ეს ხელისუფლება თავისი სხვადასხვა უწყებით საქმეს, რომ არ აკეთებს და მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს: როგორმე ხელისუფლებაში დარჩეს, ეს ცხადზე უცხადესია, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მედიანიუსი

## ნიკა გილაურმა 2012 წლის პრიორიტეტები კიდევ ერთხელ დაასახელა



პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის 2012 წლის პირველ სხდომაზე წლის პრიორიტეტული მიმართულებები კიდევე ერთხელ შეაჯამა.

როგორც მან აღნიშნა, სახელმწიფოსათვის უპირველესი ამოცანა სოციალური მხარდაჭერის პაკეტის განხორციელებაა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტშია ასახული. ლაპარაკია სექტემბრიდან 67 წელს ზემოთ მყოფი ასაკით პენსიონერებისათვის საპენსიო პაკეტის 140 ლარამდე ზრდასა და სამედიცინო დაზღვევასა და 5 წლამდე ბავშვების სამედიცინო დაზღვევაზე. მისი თქმით, ასევე გაგრძელდება საავადმყოფოების მშენებლობა. სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება განათლებაც, რომლის ბიჯეტიც, გილაურის თქმით, სათანადოდ არის გაზრდილი. სხვა ღინისძიებებთან ერთად, გაგრძელდება პედაგოგების სერტიფიცირებისა და წახალისების პროცესი.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, სახელმწიფოსათვის ასევე პრიორიტეტულ სფეროდ რჩება სოფლის მეურნეობა, რომლის დაფინანსებაც წინანდელთან შედარებით, 30 პროცენტით არის გაზრდილი. ნიკა გილაიურმა ხაზი იმ გარემოებას გაუსვა, რომ აღნიშნულ დარგში კერძო სექტორის აქტივობა აშკარად შეიმჩნევა.

ცნობისათვის: 2012 წლის პირველი სხდომის დღის წესრიგში 19 საკითხი იყო შეტანილი.

მედიანიუსი

## საია იუსტიციის მინისტრს ბრძანების შეცვლას ურჩევს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმიანება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 158 ბრძანებას.

აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა „მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიულიაქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისადაგამოქვეყნებისწესი".

საიას აბსოლუტურად მიუღებლად მიაჩნია საქართველოს საკანონმდებლო მაცნის მოცემული უფლებამოსილების გამოყენება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების მიმართ.არც ერთ ორგანოს, გარდა პარლამენტისა, არ უნდა ჰქონდეს მის მიერ მიღებულ ტექსტში თუნდაც რედაქციული სახის შესწორების განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნული გამომდინარეობს თავად პარლამენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებებიდან. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი უზრუნველყოფს რედაქციულად გამართული საკანონმდებლო აქტების მიღებას. უფრო მეტიც, კანონპროექტების მესამე მოსმენით განხილვა სწორედ რედაქციული სახის შეცდომების თავიდან აცილებას ემსახურება. მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა განდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## იუსტიციის სამინისტრომ ყველაზე მნიშვნელოვან ნოვაციად იუსტიციის სახლები დაასახელა

რუსთავის იუსტიციის სახლში იუსტიციის მინისტრის მოადგილემ 2011 წლის შედეგები შეაჯამა. გიორგი ვაშაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს იუსტიციის სამინისტრომ არაერთი სიახლე შესთავაზა საქართველოს მოქალაქეებს, ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაცია მაინც იუსტიციის სახლებია:


რუსთავის იუსტიციის სახლი

„იუსტიციის სახლები ქართული პროდუქტია, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ, – მას ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. სწორედ ამიტომ, იუსტიციის სახლი გასცდა მხოლოდ ერთი სამინისტროს ინოვაციური პროექტის ჩარჩოებს და ქართული აღმშენებლობის სიმბოლოდ იქცა. დღეს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული სტუმრები, სხვადასხვა რანგის უცხოური დელეგაციები, მთავრობის წევრები, პრეზიდენტები, საზოგადოების წარმომადგენლები თუ ტურისტები, ისტორიულ ღირსშესანიშნაობებთან ერთად იუსტიციის სახლებს ათვალიერებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იუსტიციის სახლების პროექტი თანამედროვე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია“.

საქართველოში პირველი იუსტიციის სახლი ბათუმში, გასული წლის 26 მაისს გაიხსნა. აქედან მოყოლებული, იუსტიციის სახლებს 60-ზე მეტი სხვადასხვა რანგის დელეგაცია ეწვია. იუსტიციის სამინისტროს ინოვაციური პროექტი 2011 წლის საუკეთესო ქართული ბრენდის პრიზის მფლობელიც გახდა. ეკონომიკის, პიარის, მარკეტინგისა და რეკლამის ექსპერტების გარდა, საუკეთესო პროდუქტის გამოვლენაში მონაწილეობა საქართველოს ყველა მოქალაქეს შეეძლო – სასურველი ნომინანტისათვის ხმის მიცემა ონლაინ რეჟიმში, ინტერნეტპორტალ წწწ.გეორგიანბრანდ.გე-ს საშულებით ხორციელდებოდა.

დღესდღეობით იუსტიციის სახლები უკვე ფუნქციონირებს რუსთავში, მესტიასა და ქუთაისში. 2011 წლის 26 მაისიდან მოყოლებული, უწყება ნახევარ მილიონამდე ადამიანს მოემსახურა. მოქალაქეების დაახლოებით 90%-ს რიგში დგომა 5 წუთზე ნაკლები უწევს, მომსახურების საშუალო ხანგრძლივობა კი 45 წამიდან წუთნახევრამდე მერყეობს.

2012 წელს იუსტიციის სახლები გაიხსნება თელავში, გურჯაანში, ახალციხეში, ახალქალაქში, ოზურგეთში, ხაშურში, გორში, ზუგდიდში, ფოთში, ყვარელსა და მარნეულში. მომავალ წელს გაიხსნება ყველაზე მასშტაბური – თბილისის იუსტიციის სახლიც.

იუსტიციის სახლი – იუსტიციის სამინისტროს სერვისების სრულიად ახალი კონცეფციის მქონე საჯარო დაწესებულებაა, სადაც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ნოტარიუსთა პალატის სერვისები არა მექანიკურად, არამედ – იდეურად და სისტემურად არის გაერთიანებული. ბიზნეს-ლოგიკით აწყობილი მომსახურება, მყუდრო, სასიამოვნო და

კომფორტული გარემო, მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური და კეთილგანწყობილი პერსონალი მომხმარებელთა თავაზიან, სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას უზრუნველყოფს.

მედიანიუსი

## ლეიბორისტები „112“-ის გადასახადის გაუქმებას მოითხოვენ

ლეიბორისტული პარტია სახელმწიფო სამსახურ „112“-ის გადასახადის გაუქმებას მოითხოვს.

როგორც 4 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, „ხალხზე „მზრუნველი“ ყვარყვარე-სააკაშვილის დავალებით“ მთავრობამ 112-ით გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების, პოლიციის, პატრულის, სახანძროს, საგანგებო, გაზისა და წყლის სამსახურების გამოძახება ფასიანი გახადა და ფიზიკური პირებისათვის 20, ხოლო იურიდიული პირებისათვის 50 თეთრით განსაზღვრა.

„საქართველოს ლეიბორისტული პარტია მოითხოვს ამ უკანონო გადასახადის გაუქმებას და სააკაშვილს სთავაზობს 112-ის მომსახურების ანაზღაურება მოახდინოს ნავთობბიზნესში დასაქმებული და ჩვენს ხარჯზე გამდიდრებული მისი „ძვირფასი“ მილიონერი ძმების ბიზნესწილებიდან“-აღნიშნა ჯიბლაძემ.

მედიანიუსი

## „მაესტროს“ მმართველი კომპანიის თანამშრომლებს აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდათ

„მაესტროს“ მმართველი კომპანიის ცნობით, სასამართლომ მათ თანამშრომლებს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრება შეუფარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიიდან აცნობეს, მიხეილ ზედგინიძესა და ვალერი გიპკაშვილს „უსაფუძვლო ბრალდებები გუშინ წაუყენეს“. „მაესტროს“ მმართველი კომპანია არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველს მომხდარზე რეაგირებისკენ მოუწოდებს.

„2012 წლის 1-ელ იანვარს მიხეილ ზედგინიძესა და ვალერი გიპკაშვილს თავს დაესხნენ დაუდგენელი პირები, რომელთაც „მაესტროს“ მართვის კომპანიის თანამშრომლების მიმართ გამოიყენეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. კომპანიის თანამშრომლები დააკავეს და წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს. 3 იანვარს მათ უსაფუძვლო ბრალდებები წარედგინათ, ხოლო 4 იანვარს სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ დაპატიმრება. კომპანია პოლიციისა და სასამართლოს უკანონო ქმედების გამო პროტესტს გამოთქვამს და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველს მოუწოდებს, ჩაერთონ მოცემული საქმის მონიტორინგის პროცესში“, – ნათქვამია „მაესტროს“ მმართველი კომპანიის განცხადებაში.

შსს-მ 2 იანვარს გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სამართალდამცავებმა 1-ელ იანვარს ნუცუბიძის ქუჩის №93-ში მდებარე ტელეკომპანია „მაესტროს“ ეზოდან ავტომანქანის მეშვეობით სხვადასხვა ნივთების გატანის ფაქტი შენიშნეს. შსს-ს ცნობით, პოლიციის თანამშრომლებმა იმ მოტივით, შეიცავდა თუ არა აღნიშნული ქმედება დანაშაულის ნიშნებს, ავტომანქანის გაჩერება და გადამოწმება სცადეს. თუმცა, ავტომანქანის მძღოლი სამართალდამცავების მოთხოვნას არ დაემორჩილა და გაქცევის მიზნით პოლიციის ავტომანქანას დაეჯახა. პოლიციამ აღნიშნული ავტომანქანა დააკავა. მომხდარზე თბილისის მთავარ სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ინტერპრესნიუსი

# რა საფრთხეს შეიცავს ზურაბ ადეიშვილის ბრძანებულება

### რისი შეცვლა შეუძლია „საკანონმდებლო მაცნეს“?

თეა მარხვაიძე


ზურაბ ადეიშვილი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის მიერ გამოცემულმა ბრძანებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს ბრძანებულება ამ დღესასწაულებზე რომ არ გამოეცათ, კიდევ უფრო დიდი წიოკი ატყდებოდა. მაგრამ ახლა ოპოზიციის ნაწილი საქეიფოდაა, ნაწილი ქეიფების გამო უქეიფოდ გრძნობს თავს და სათანადო რეაგირებას ვერ ახერხებენ.

სათანადო აღშფოთებას ოპოები ალბათ შობის მერე გამოხატავენ. ახლა კი შიგადაშიგ ისმის ხმა აღშფოთებისა.

ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი იურისტი ვახტანგ ხმალაძეს, რომელიც რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერია.

სამართლებრივ საკითხთა ექსპერტი ვახტან ხმალაძე „ტრიბუნასთან“ საუბარში აცხადებს, რომ იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის მიერ გამოცემული ბრძანება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს ეწინააღმდეგება და შესაძლოა, სერიოზული საფრთხეები შექმნას სახელმწიფოებრივი მასშტაბით.

საუბარია მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბერის ბრძანებაზე, რომლითაც „საკანონმდებლო მაცნეს“ უფლება ეძლევა, შეასწოროს ნორმატიულ აქტში რედაქციული ხასიათის ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები, რითაც არ შეიცვლება ნორმატიული აქტის შინაარსი.

– ეს ნორმა აშკარად ეწინააღმდეგება როგორც კანონს, ასევე კონსტიტუციას. კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულია ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილება – მიიღონ კანონი, გამოსცენ დადგენილება, ბრძანებულება, ბრძანებები – განსაზღვრულია, ვის რისი უფლებები აქვს. ნორმატიული აქტების კანონით, კანონში ნებისმიერი ცვლილების შესატანად, თუნდაც მძიმის ჩასამატებლად ან ამოსაღებლად, აუცილებელია იმავე პროცედურის განხორციელება, რომლითაც მიიღება კანონი. პარლამენტის რეგლამენტით კი, კანონი მიიღება სამი მოსმენით და, ამასთან, მესამე მოსმენისას შეიძლება მხოლოდ რედაქციული ხასიათის შესწორებების შეტანა, ისე, რომ არ შეიცვალოს შინაარსი. ანუ აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ კანონში ორთოგრაფიული ან სხვა სახის გრამატიკული შეცდომაა დაშვებული, შეიძლება შესწორდეს მესამე მოსმენისას და ამის შემდეგ ამ კანონში არანაირი ცვლილების შეტანის უფლება არ აქვს არავის, თავად პარლამენტის გარდა, – აცხადებს ხმალაძე.

მისივე თქმით, სავსებით შესაძლებელია, რომელიმე რედაქტორმა ვერ გაიგოს კანონის ნორმა სწორად და, სრულიად კეთილი მიზნით, უნებლიედ შეცვალოს ნორმის შინაარსი. ან კიდევ, ვინმემ, ვისაც ხელი მიუწვდება კანონის ტექსტზე, უკეთური მიზნით შეცვალოს ტექსტი და ეს რედაქციულ ჩასწორებად გამოაცხადოს.

– თუ იუსტიციის მინისტრმა თავადვე არ გააუქმა საკანონმდებლო მაცნესთვის მინიჭებული ეს უფლება, მაშინ აუცილებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა – ამ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. მიმართვა შეიძლება სასამართლოსთვისაც, რადგან საქმე ეხება მინისტრის ბრძანებას და არა კანონს, – განმარტავს ხმალაძე.

მისი თქმით, ადეიშვილის მიერ გამოცემული ბრძანების გაუქმება აუცილებელია, რადგან მან, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შექმნას სახელმწიფოებრივი მასშტაბით.

ვახტანგ ხმალაძე არ გამორიცხავს, რომ იუსტიციის მინისტრის მიერ 29 დეკემბერს გამოცემული ბრძანება სასამართლოში თავად გაასაჩივროს. შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კი, დაზუსტების სახით ამბობს, რომ ადეიშვილის ბრძანების გამოცემის თარიღი არის 29 დეკემბერი, დღე, როცა საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომელსაც დიდი ხმაური მოჰყვა მედიაში.

– კარგად გვახსოვს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შეტანილი ერთ-ერთი ნორმიდან გაქრა სიტყვა „ამ“, რამაც შეცვალა ნორმის შინაარსი. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს გამქრალი სიტყვა შემოგვასაღონ როგორც საკანონმდებლო მაცნეს მიერ განხორციელებული რედაქციული ცვლილება, თუმცა ეს ძალიან გაუჭირდებათ, რადგან ამ ერთი სიტყვის ამოღება ტექსტის არც პუნქტუაციური გასწორებაა და არც ორთოგრაფიული, სიტყვა „ამ“– ის ამოღებით შეიცვალა ნორმის შინაარსი, – აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

ექსპერტის მტკიცებით, „საკანონმდებლო მაცნეში“ ვერცერთი პასუხისმგებელი პირი თავს უფლებას ვერ მისცემდა კანონი ჩაესწორებინა.

– კანონს ვერ ჩაასწორებდნენ, რომ არ ჰქონოდათ ძალიან მაღალი თანამდებობის პირის მოთხოვნა, მაგრამ ასეთი მოთხოვნის შესრულება თავისთავად კანონდარღვევაა, – აცხადებს ხმალაძე.

„საკანონმდებლო მაცნე“-ს გარშემო ამბები გასული წლის და,ლევს ატყდა. ეს მაშინ მოხდა, როცა უკვე მიღებულ კანონში ცვლელებები აღმოაჩინეს. მართალია ახლა ამტკიცებენ, რომ ეს თავიდანვე ასე იყო მაგრამ ამის არავის არ სჯერა.

„საკანონმდებლო მაცნესთან“ დაკავშირებით 2 დღის წინაც ატყდა სკანდალი. როცა ადეიშვილის იმ ბრძანების შესახებ გახდა ცნობილი, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ.

როგორც სჩანს „საკანონმდებლო მაცნემ“ განმარტებების ჰაკეთება გადაწყვიტა.

„საკანონმდებლო მაცნე“ ნორმატიულ აქტში რედაქციული სახის ცვლილებების უფლებამოსილებაზე განმარტებას აკეთებს .

როგორც „საკანონმდებლო მაცნის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განმარტებაშია ნათქვამი, „მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია ნორმატიული აქტების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესში შეტანილ ცვლილებასთან დაკავშირებით“.

განმარტების თანახმად, ვინაიდან აღნიშნული ცვლილება არასწორი ინტერპრეტაციის საგანი გახდა, მათ შორის, ცალკეული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლების მხრიდან, „საკანონმდებლო მაცნემ“ მართებულად მიიჩნია დაინტერესებულ საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია.

„საკანონმდებლო მაცნე“ განმარტავს, რომ ცვლილება არ ეხება კანონებს. „იმის გამო, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებში არ არსებობს სარედაქციო განყოფილებები, ცალკეულ შემთხვევებში კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ფიქსირდება ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და ნუმერაციასთან დაკავშირებული ხარვეზები. ასეთი შემთხვევისთვის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გააჩნია უფლებამოსილება, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და მათ საკონტროლო მდგომარეობაში მოსაყვანად, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსების და მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობის მიზნით, გამოქვეყნებამდე უზრუნველყოს ამ ხარვეზის გასწორება, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ხარვეზის (ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და ნუმერაციის) გასწორებით არ იცვლება ნორმატიული აქტის შინაარსი.

აქვე ცალსახად უნდა განვმარტოთ, რომ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ აღნიშნული უფლებამოსილება არ ვრცელდება საქართველოს კანონების ტექსტისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სხვა ნორმატიული აქტების გამოქვეყნებაზე. პარლამენტის მიერ მიღებული აქტების მომზადების, განხილვისა და მიღების, ისევე როგორც, მათი გამოქვეყნების წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, რომელიც კანონის ძალის მქონე აქტია.

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ კიდევ ერთხელ გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით“, – ნათქვამია „საკანონმდებლო მაცნის“ განმარტებაში.

ცვლილება „ნორმატიული აქტების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში შევიდა.

ცვლილებით და დამატებით, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე უფლებამოსილი გახდა, განახორციელოს ნორმატიულ აქტში რედაქციული სახის შეცდომის გასწორება, რაც გულისხმობს ტექსტში ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომის ან შეცდომების გასწორებას, რითაც არ შეიცვლება ნორმატიული აქტის შინაარსი. თუმცა, შესაბამის ბრძანებაში დამატებულ აღნიშნულ მუხლში არ არის მითითებული, რომ ეს რეგულაცია კანონებს არ ეხება.

კანონმდებლობით, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად. ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.

საკანონმდებლო აქტების სახეებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი; საქართველოს ორგანული კანონი; კონსტიტუცია, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მინისტრის ბრძანებები.

# ვანო მერაბიშვილი ინტერნეტით ჩვენს მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს აგროვებს

## რატომ დაინტერესდა შს სამინისტრო მაწანწალა ძაღლების თემით?

შალვა ჯოხაძე

ვანო მერაბიშვილის უწყებამ საკუთარ ვებგვერდზე ცოტა ხნის წინ ახალი ფუნქცია დაამატა: „გვითხარით, როგორ გემსახუროთ უკეთ“. თუმცა, ამ ტოტალური მოსმენებისა და მოსახლეობის დაშინების ფონზე, ეს სიახლეც სამინისტროს მიერ მასებზე კონტროლის მექანიზმად აღიქმება.



ვანო მერაბიშვილი

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა გაწუხებთ, რომ უკეთ დავგეგმოთ პოლიციის საქმიანობა. ქვემოთ მოყვანილია ორი ტიპის კითხვარი, დეტალური და ბლიც კითხვარი. თუ გსურთ დეტალურად მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენს წინაშე არსებულ პრობლემებზე, გთხოვთ შეავსოთ დეტალური კითხვარი. სხვა შემთხვევაში, შეავსეთ ბლიც გამოკითხვის ფორმა, – აღნიშნულია საიტზე.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მიმართვა ვანო მერაბიშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარი გვერდის მეშვეობითაც გაავრცელა.

იმისათვის, რომ მინისტრამდე თქვენმა კითხვარმა მიაღწიოს, აუცილებლად უნდა გაამხილოთ რეგიონი, რაიონი, ქალაქი, უბანი, ქუჩა, საიდანაც წერთ. მიუთითოთ თქვენი სქესი და ასაკი.

დეტალური კითხვარის მიხედვით, სამინისტრო მოგმართავთ:

– ჩამოთვალეთ სამი პრიორიტეტი (მინიმუმ ერთი), რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება პოლიციამ (მაგალითად, ნებისმიერი დანაშაულის ტიპი, ანტისოციალური ქცევა (ჩხუბი, ხმაური) ან როგორ უნდა იმოქმედოს პოლიციამ, რომ თავი უფრო უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოთ).

თითოეული პრიორიტეტული საკითხის მნიშვნელობა დამატებითი კითხვებით უნდა დაასაბუთოთ:

კითხვა 1.1: რატომ არის თქვენ მიერ ზემოაღნიშნული პრიორიტეტული?

კითხვა 1.2: რა უნდა გააკეთოს პოლიციამ, რომ თქვენი პრიორიტეტი განხორციელდეს?

აქვეა გრაფა – კომენტარიც (კიდევ დამატებით თუ გსურთ თქვენი მოსაზრება მიაწოდოთ პოლიციას).

ვანო მერაბიშვილის უწყება მოგიწოდებთ:

– დატოვეთ საკონტაქტო ინფორმაცია თუ გსურთ, რომ თქვენ მიერ დასმულ პრობლემებზე დაგიკავშირდეთ (ველის შევსება ნებაყოფლობითია): სახელი, ტელეფონი, გვარი, მობილური, მისამართი, ელ. ფოსტა.

აქ კი არის მითითებული, რომ საკონტაქტო ინფორმაციის მითითება ნებაყოფლობითია, მაგრამ თავში, აუცილებელ ველებში მითითებული ინფორმაციითაც ადვილად გაიშიფრებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კომპიუტერს, რომლიდანაც თქვენ ამ ელექტრონულ კითხვარს შეავსებთ, მაშინვე აღმოაჩენენ. მოკლედ, მოსახლეობაში ისედაც იმის განცდაა, რომ ყველა და ყველაფერი ისმინება და ამ დროს ასეთი კითხვარების შევსების მსურველთა რიცხი რამდენად დიდია, ვერ გეტყვით.

ბლიც გამოკითხვის ფორმას რაც შეეხება, აუცილებელი ველების შევსების შემდეგ სამინისტრო მოგმართავთ:

– მიუთითეთ სამი პრიორიტეტი, რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება პოლიციამ (მაგალითად, ნებისმიერი დანაშაულის ტიპი, ანტისოციალური ქცევა (ჩხუბი, ხმაური).

პოლიციის ხელმისაწვდომობა; ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებული დანაშაული/პრობლემები; ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული დანაშაული/პრობლემები; ნარკოტიკული საშუალებების კულტივირება; ქურდობა; ძარცვა; ყაჩაღობა; დანაშაული საზოგადოებრივ ტრანსპორტში; მაწანწალა ძაღლები; ძალადობა ოჯახში; თაღლითობა; ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაული; ცივი იარაღით ჩადენილი დანაშაული; ორგანიზებული დანაშაული/ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები; ხულიგნობა; მანქანის ქურდობა; მანქანის ნაწილების და აქსესუარების ქურდობა; სქესობრივი დანაშაული; ჯიბის ქურდობა; ტერორიზმი; ავტო-საგზაო შემთხვევები; ავტო-საგზაო წესების დარღვევა; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დანაშაულზე; რეკეტი; ახალგაზრდების მიერ ჩადენილი დანაშაული; ძალადობა სკოლაში; ანტი-სოციალური ქცევა (ჩხუბი სამეზობლოში ხმაური) და სხვა.

# იანვარში საქართველოში კიდევ 30 ახალი საავადმყოფოს გახსნა იგეგმება

მიმდინარე წლის იანვარში, გასული წლის დეკემბრის თვის მსგავსად, საქართველოში კიდევ 30 ახალი საავადმყოფოს გახსნა იგეგმება.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, საავადმყოფოების მშენებლობის პროცესი ქვეყანაში წელსაც გაგრძელდება და მარტ-მაისში რეგიონებში ედარებით მსხვილი სამედიცინო ობიექტები გაიხსნება. ლაპარაკია თელავზე, ფოთსა და სხვა ქალაქებზე.

მისივე თქმით, 2012 წლის გაზაფხულზე საქართველოს რეგიონებში 70-100-საწოლიანი საავადმყოფოები გაიხსნება.

პრაიმ-ნიუსი

# გიორგი ტუღუში: „26 მაისის დარბევა თავიდან ბოლომდე შესასწავლია“

გასულ წელს საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე, „ინტერპრესნიუსი“ სახალხო დამცველს, გიორგი ტუღუშს ესაუბრა.



გიორგი ტუღუში

*– ბატონო გიორგი, 2011 წელს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით როგორ შეაფასებდით; წინა წლებთან შედარებით პროგრესზე რამდენად შეიძლება საუბარი?*

– ნაწილი მიმართულებებით პროგრესი, ნაწილი მიმართულებებით ვითარების გაუარესება, ნაწილი მიმართულებებით კი ვითარების უცვლელობა შეიმჩნეოდა.

პროგრესი შეეხებოდა გარკვეულ კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, ასასრულწლოვან მართლმსაჯულების კუთხით გადადგმულ სერიოზულ პოზიტიურ ნაბიჯებს. რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა, რომელიც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფრო პროგრესულად დაცვას და რეალიზებას უკავშირდებოდა.

კვლავ რთული იყო წელი პენიტენციალური სისტემის კუთხით, დაწყებული მოპყრობით, დამთავრებული ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფით.

კვლავ დაფიქსირდა პრობლემები იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებთან მიმართებაში. საკმაოდ პრობლემური იყო სიტუაცია სამართლიანი სასამართლოს რეალიზების კუთხით. არაერთი საქმე შევისწავლეთ, სადაც სახეზე იყო კონკრეტული დარღვევები. დაახლოებით 15 ფაქტზე მივმართე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლეთა დისციპლინური დევნის დაწყების მოთხოვნით.

განსხვავებით 2010 წლისგან, 2011 წელი გამოირჩეოდა უფლებადარღვევებით, რომელიც შეკრებებსა და მანიფესტაციებს ეხებოდა. 3 იანვრის ვეტერანთა აქციის დაშლის და 26 მაისის მოვლენების დროს კომპლექსურ უფლებადარღვევებთან გვქონდა საქმე. ეს არ იყო დაკავშირებული იმდენად შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევასთან, რამდენადაც – უშუალოდ პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებასა და დაკავების შემდგომ პირებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასთან, ასევე მთელი რიგი უფლებების შელახვასთან, რაც მოჰყვა ზოგადად ამ პირთა დაკავებას. პრობლემები დაფიქსირდა ბავშვთა და ქალთა უფლებების კუთხით, ძალადობა ოჯახში, არაერთი განცხადება შემოვიდა წლის განმავლობაში, რომელიც შევისწავლეთ. ასევე ბავშვთა უფლებების მიმართულებით დაფიქსირდა არაერთი სერიოზული დარღვევა. ფაქტობრივად არანაირი პროგრესი არ შეინიშნებოდა უნარშეზღუდულ პირთა უფლებების დაცვის კუთხით, რაც ძალიან სამწუხაროა.

*– შეკრებების და მანიფესტაციების უფლება რამდენად იყო დაცული 2011 წელს. ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე ფაქტი მოვიყვანოთ, მათ შორის 26 მაისის, ვეტერანთა 3 იანვრის აქციის, ასევე სასჯელაღსრულების სამინისტროსთან და უზენაეს სასამართლოსთან აქციების დაშლის, რომლებიც უფლებების დარღვევად შეფასდა. თუ შეისწავლეთ ეს ფაქტები და რამდენად ჰქონდა ადგილი 2011 წელს შეკრებების და მანიფესტაციების უფლების დარღვევას?*

– რაც შეეხება 3 იანვრის ფაქტს, ვეტერანთა აქციის დაშლას, აქციის შეწყვეტის მოთხოვნა ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად უკანონო იყო, თუმცა შეწყვეტას მოჰყვა სხვა უფლებადარღვევებიც – აქციის მონაწილეების ფიზიკური შეურაცხყოფა და რამდენიმე მათგანის დაკავება, დაჯარიმება ადმინისტრაციული წესით. რაც შეეხება 26 მაისს, იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებას იმ მომენტში ჰქონდა კანონიერი საფუძვლები, მოეთხოვა აქციის შეწყვეტა, დაშლას და დაშლის შემდგომ პერიოდს მოჰყვა სერიოზული უფლებადარღვევები – გადამეტებული ძალის გამოყენება, როდესაც პირებს, რომლებსაც პრაქტიკულად არანაირი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ და კონტროლის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი, კვლავ აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, ამას ცხადყოფს კადრები და ვიდეომასალები. აგრეთვე, დაკავების შემდგომ პირთა ფიზიკური შეურაცხყოფა. მაგალითად, მურმან დუმბაძის საქმე. დუმბაძე ჯერ „ევრონიუსის“ და სხვა არხების კადრებში ვნახეთ, სადაც იგი გამოჰყავს პოლიციას დაზიანებების გარეშე, მოგვიანებით ჩვენ თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში ვნახეთ, მძიმე ხასიათის დაზიანებებით. იყო, ასევე, დაახლოებით 12-მდე მსგავსი ფაქტი, როდესაც პირებმა სახალხო დამცველს მიმართეს განცხადებით, სადაც ისინი მიუთითებდნენ, რომ სცემეს დაკავების შემდგომ, როდესაც გაიყვანეს რუსთაველის გამზირიდან. გარდა ამისა, დაფიქსირდა არაერთი ფაქტი, როდესაც ჟურნალისტებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, დაუზიანეს აპარატურა, ჩამოართვეს ფირები, წაშალეს ჩიპი, რომელზეც იყო სურათები. დაახლოებით ასეთი 18 ფაქტი იყო სახალხო დამცველთან შემოსული და ყველა მათგანზე მთავარი პროკურატურისგან მოვითხოვე რეაგირება. თქვენ გახსოვთ ალბათ შსს-ს განცხადება 14 პოლიციელის დასჯის შესახებ 26 მაისის გამო, სადაც ეწერა, რომ შესრულდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია. მე განვაცხადე, რომ კი ბატონო, შეიძლება ეს ჩავთვალოთ წინგადადგმულ ნაბიჯად, თუმცა ზომა არის არასაკმარისი, ვინაიდან, სახალხო დამცველის აზრით, აშკარა იყო დანაშაულის ნიშნები და ეს პირები უნდა დასჯილიყვნენ სისხლის სამართლის და არა ადმინისტრაციული წესით.

რაც შეეხება დანარჩენ აქციებს, მინდა გითხრათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა არაერთხელ შეიცვალა ბოლო პერიოდში. თქვენ იცით, რომ სახალხო დამცველის ერთ-ერთი საკონსტიტუციო სარჩელი სწორედ შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობას ეხებოდა. სადაოდ იყო არაერთი მუხლი, რომელიც არეგულირებს ზოგადად ამ მუხლების პრაქტიკაში გამოყენებას. გარკვეულწილად, კანონი დღეის მდგომარეობით არის შეცვლილი, თუმცა მასში რჩება რამდენიმე პრობლემა, რომელზეც დღემდე მიუთითებს ვენეციის კომისია და მეც აღვნიშნე, რომ არის გარკვეული გარემოებები კანონმდებლობაში, რომელიც დასახვეწია კანონის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით, მისი შესაბამისობაში მოყვანა არის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტებთან.

რა თქმა უნდა, არის ქვეყნები, სადაც შეიძლება ჩვენზე მკაცრი კანონმდებლობა აქვთ მანიფესტაციებთან მიმართებაში, თუმცა არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც იქედან აიღო მაგალითი, სადაც შეზღუდვებია დაწესებული, რომლებიც რიგ შემთხვევაში შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც არაპროპორციული. ამაზე ჩვენ გვქონდა საუბარი, როდესაც ვენეციის კომისიასთან, საქართველოს ხელისუფლებასა და არასამთავრობოებთან ერთად განვიხილავდით სწორედ კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს. რაც შეეხება, ზოგადად, აქციების, შეკრებების და მანიფესტაციების გამართვას, კიდევ ერთხელ გავიმეორებ – დაშვებული შეცდომები და უფლებადარღვევის ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები, ზოგიერთ შემთხვევებში კანონის მოთხოვნებს არ იცავენ და ხდება აქციის მონაწილეთა უფლებების დარღვევა. ძალიან ხშირად სასამართლო ეყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ პატრულ-ინსპექტორების ახნა-განმარტებებს და იყო შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარეს არანაირად არ ეძლეოდა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი მტკიცებულებები, მაგალითად, როდესაც ითხოვდნენ ვიდეოფირის დართვას საქმის მასალებთან, რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ კონკრეტულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

*– რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლებას და ჟურნალისტურ საქმიანობას, რამდენად დაცული იყო ეს უფლება. ფოტორეპორტიორების საქმე, 26 მაისს ჟურნალისტების საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტები, თუ შეისწავლეთ მასალები და როგორია თქვენი დასკვნა?*

– 26 მაისის ფაქტი თავიდან ბოლომდე შესწავლილია. ჩვენ შევხვდით ყველა ჟურნალისტს, რომელიც დაზარალდა, რომლის უფლებებიც დაირღვა აქციის დაშლის შემდეგ. ჩვენ მიერ დაფიქსირდა არაერთი სერიოზული უფლებადარღვევა. მსმენია რამდენიმე არგუმენტი, რომ ჟურნალისტებს არ ეცვათ განმასხვავებელი ფორმა, იდგნენ არასწორ ადგილას, მაგრამ ისეთი ჟურნალისტებიც იყვნენ, რომელთაც სპეციალური ჟილეტი ეცვათ, მაგრამ აქციის დაშლის დროს მაინც სერიოზულად დაზარალდნენ. არაერთ ჟურნალისტს დაუზიანდა აპარატურა, რამდენიმე მათგანი მიუთითებდა, რომ მათ ჩამოართვეს ფირი ან ფოტოაპარატიდან ამოიღეს ჩიპი, რომელზეც იყო მასალა.

თუმცა, 26 მაისი არ იყო ერთადერთი ფაქტი, ჩვენ გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რეგიონში განხორციელდა გარკვეული ზეწოლა ადგილობრივ ჟურნალისტებზე. მივმართე პროკურატურას და მოვითხოვე ყველა ამ ფაქტზე ძიების დაწყება. რაც მე სახალხო დამცველი ვარ, არ მახსოვს წელი, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონოდა, განსაკუთრებით – რეგიონალ მედიაში. რაც შეეხება ფოტოგრაფების საქმეს, რამდენად იყო მათი დაკავება ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელისშეშლა, ვერ გეტყვით, თუმცა ჩვენ შევისწავლეთ კონკრეტულად მათი საქმე გარკვეულ ნაწილში. პირადად შევხვდი ფოტორეპორტიორებს და ვესაუბრე ციხეში. მათი სისხლის სამართლის საქმე ჩვენ არ შეგვისწავლია იქედან გამომდინარე, რომ ამის სურვილი თავად ფოტორეპორტიორებს არ დაუფიქსირებიათ ჩვენთან. როგორც მახსოვს, ბოლოს საპროცესო გარიგებით დამთავრდა მათი საქმე და პირობითი მსჯავრი იქნა გამოყენებული. სისხლის სამართლის საქმის დეტალებზე ვერ გეტყვით ვერაფერს, იქედან გამომდინარე, რომ მასალებს გრიფით საიდუმლო ადევს.

სახალხო დამცველს, სამწუხაროდ, შეზღუდვა აქვს საიდუმლო მასალებზე წვდომასთან დაკავშირებით. ეს არაერთხელ გამხდარა პრობლემა ჩემთვის პრაქტიკაში.

მე მოვუწოდე ხელისუფლებას, რომ საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო საქმის ნაწილი გაეხადათ საჯარო. საზოგადოებას ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დარჩა კონკრეტულად ამ სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის – სახალხო დამცველსაც.

*– რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით დაკავებებს. წლის განმავლობაში, ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის გააქტიურების პარალელურად, შეინიშნებოდა მათ ირგვლივ დაკავებების ტენდენცია, რასაც საზოგადოების ნაწილი აფასებდა პოლიტიკურ დაკავებად, თქვენ რომელიმე საქმე თუ შეისწავლეთ და მართლაც თუ გამოიკვეთა დარღვევა?*

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ 2011 წელს სახალხო დამცველისთვის არცთუ ისე ბევრ ადამიანს მოუმართავს მსგავს საქმეებზე, თუმცა არის საქმეები, როდესაც ჩვენ მოგვმართავდნენ. შევხვდით არაერთ დაკავებულ პირს. მათმა დიდმა ნაწილმა არ ისურვა, რაიმე მსვლელობა მისცემოდა მათ სისხლის სამართლის საქმეს, ბევრ მათგანს იმედი ჰქონდა, რომ საპროცესო შეთანხმებით დატოვებდა დაწესებულებას და არ სურდა სახალხო დამცველის მხრიდან კონკრეტული რეაგირება მათ საქმეებზე.

წარსული გამოცდილებიდანაც მინდა გითხრათ, რომ არაერთი სისხლის სამართლის საქმე ტოვებს საკმაოდ სერიოზულ ეჭვებს. თქვენ გახსოვთ ალბათ, ვსაუბრობდი შესაძლო პოლიტიკურ მოტივაციაზე რიგი პირების მიმართ, განსაკუთრებით 2009 წელს გამოვყოფ, როდესაც არაერთი საქმე შევისწავლეთ ამ კუთხით და შემდგომ ისინი აისახა სახალხო დამცველის ანგარიშში. თუმცა, რაც შეეხება იმავე ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებას, მაგალითად 26 მაისამდე და 26 მაისის შემდგომ პერიოდში, საკმაოდ დიდი ოდენობით იყო ასეთი საქმეები, იქაც არაერთი საქმე იყო საკმაოდ საეჭვო. ციხეში შევხვდით სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირებს 26 მაისის შემდგომ. მათ განაცხადეს, რომ მათი უფლებები დარღვეული არ იყო. ვერ გეტყვით, მათი ნებით იყო ეს განცხადება გაკეთებული, თუ არა, თუმცა მათ აბსოლუტური საშუალება ჰქონდათ, სახალხო დამცველს მათი საქმეები შეესწავლა. მათმა ადვოკატებმაც არ ისურვეს, რომ ჩვენ ეს საქმეები შეგვესწავლა. ძალიან გამიჭირდება, დეტალები მოგაწოდოთ, თუმცა ჩემი აზრით, არაერთი დაკავების ფაქტი საკმაო ეჭვებს ბადებდა, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ თავად გვქონდა სურვილი, მათი საქმეები გვენახა.

– ჩვენ ვისაუბრეთ, უფლებადარღვევის ფაქტებზე. ამ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო იყოს სამართლიანი და თავისუფალი. წინა ანგარიშში საუბრობდით დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებზე. 2011 წელს როგორი ვითარებაა ამ კუთხით?

ინტერპრესნიუსი

# პრესის გამავრცელებელი სააგენტოები მორიგ განცხადებას ავრცელებენ

პრესის გამავრცელებელი სააგენტოები: „მაცნე“, „პლანეტა ფორტე“ და „ელვასერვისი“ მორიგ განცხადებას ავრცელებენ და თბილისის მერიის პროექტ „1000 ჯიხურის“ ფარგლებში გამოცხადებული აუქციონებით დაინტერესებულ პირებს მოუწოდებენ, მონაწილეობა არ მიიღონ იმ ლოტებში, რომლებიც მერიის მიერ უკვე ალებული პრესის ჯიხურების განთავსების ადგილებს ემთხვევა.

გარდა ამისა, სააგენტოები მადლობას უხდიან იმ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს, ვინც გაითვალისწინა მათი თხოვნა და მონაწილეობა არ მიიღო 28 დეკემბერს მე-80 აუქციონში იმ წერტილებზე, სადაც იდგა პრესის გავრცელების ჯიხურები კერძოდ: კომპანიებს: „კუმისს“, „კოდას“ და სხვებს.

„ამან საშუალება მოგვცა, შეგვენარჩუნებინა ჩვენი ძველი ადგილების ნაწილი, თუმცა აღმოჩნდნენ სუბიექტები, რომელთაც არ გაითვალისწინეს ჩვენი თხოვნა და ფიზიკური პირების სახელით აუქციონებში მონაწილეობა მაინც მიიღეს (ამ ეტაპზე მათი დასახელებისგან თავს შევიკავებთ). გაცნობებთ, რომ მორიგი 81-ე და 82-ე აუქციონები, სადაც ძირითადად გამოტანილია სს „მაცნეს“, შპს „პლანეტა ფორტესა“ და შპს „ელვასერვისის“ კუთვნილი ჯიხურების განთავსების ადგილები, გაიმართება დღეს და ხვალ. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღების მსურველებს ვთხოვთ, გამოგვიცხადონ სოლიდარობა და არ მიიღონ მონაწილეობა იმ ლოტებში, რომლებიც ემთხვევა მერიის მიერ აღებული პრესის გამავრცელებელი ჯიხურების განთავსების ადგილებს. კერძოდ:

**აუქციონი 81:**

სს „მაცნე“ – ლოტი №№ 10, 18, 20, 21, 32, 37, 39, 42, 46, 47.

შპს „ელვასერვისი“ – ლოტი №№ 9, 34, 35, 36, 38, 40, 44, 48, 49, 50.

შპს „პლანეტა-ფორტე“ – ლოტი №№ 11, 12, 15, 19, 22, 31, 41, 43, 45.

**აუქციონი 82:**

სს „მაცნე“ – ლოტი №№ 13, 15, 16, 17, 19, 20, 21, 24, 32, 33, 34, 36, 39, 48, 49.

შპს „ელვასერვისი“ – ლოტი №№ 14, 35, 41, 43.

შპს „პლანეტა-ფორტე“ – ლოტი №№ 18, 22, 23, 31, 40, 44, 45, 46“, – ნათქვამია პრესის გამავრცელებელი სააგენტოების განცხადებაში.

სააგენტოების შემდეგ აუქციონებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას სისტემატიურად გაავრცელებენ.

# 10 წლის ბავშვის მშობლები ექიმებს ადანაშაულებენ

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები10 წლის გიორგი ცეცხლაძე კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ დედოფლისწყაროდან თბილისში, რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ამის შესახებ ინტენტეტგაზეთი „ქიზიყი“ იტყობინება.

მედიკოსების განმარტებით, მოზარდს მწვავე ნეფრიტი დაუდგინდა და მისი მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია. ექიმები ვერ აკონკრეტებენ, მოხერხდება თუ არა ბიჭის გადარჩენა.

პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზად დაგვიანებული მკურნალობა სახელდება. მოზარდის მშობლები დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ექიმებს უპირისპირდებიან და უყურადღებობაში ადანაშაულებენ. ბიჭის დედის განმარტებით, მედიკოსებმა მკურნალობა სხვა კუთხით წარმართეს, რამაც ვითარების გაუარესება გამოიწვია.

„ბავშვი თავდაპირველად ტკივილებს მუცლის არეში უჩიოდა და სახეზე გამონაყარი ჰქონდა. დაუყოვნებლივ საავადმყოფოში მივიყვანეთ. ინფექციონისტმა ლია ხუციშვილმა ქირურგ ვასილ გონაშვილთან გადაგვამისამართა. გონაშვილმა ჩემს შვილს ზედაც არ შეხედა. არც გაუსინჯია კანის ექიმთან წაიყვანეთ, მე რა შუაში ვარო მოგვაძახა. კანის ექიმმა კახა ჯალიაშვილმა რალაც მაზი გამოუწერა, არასწორი მკურნალობის შედეგად კი ბავშვის მდგომარეობა გართულდა. სულ სხვა რამეზე ყოფილა სამკურნალო და დრო დაგვაკარგინეს. ბავშვი ამბობდა მუცელი მტკივაო და არავინ გვისმინა, მხოლოდ გამონაყარზე დაუწყეს მკურნალობა. ბოლო დღეებში ვამჩნევდით, რომ ბავშვი დასივდა, სუნთქვის უკმარისობა და ძლიერი ტკივილები ჰქონდა მუცლის არეში. სასწრაფო დახმარება გამოვიძახეთ და ღამის 4 საათზე სამთაწყაროდან დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ამოვიყვანეთ. ვითარება იმდენად რთული იყო, რომ თბილისიდან კატასტროფის ცენტრის ბრიგადა გამოიძახეს. ღვიძლიც გადიდებული ჰქონდა. ჩემს შვილს რამე რომ დაემართოს, გეფიცებით, საავადმყოფოს გადავწვავთ,“ – აცხადებს მოზარდის დედა დალი ცეცხლაძე.

ექიმების განმარტებით, ბავშვის მდგომარეობა ამ დრომდე რთულია. ის მკურნალობის კურსს თბილისის რეფერალურ საავადმყოფოში გადის.

„ქიზიყის“ ცნობით, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, 10 წლის გიორგი ცეცხლაძე დედოფლისწყაროს მორაგბეთა გუნდ „მიმინოს“ სპორტსმენია. ოჯახი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, თუმცა ახლახან სოციალური მომსახურების სააგენტომ ცეცხლაძეებს ყოველთვიური საარსებო შემწეობა შეუწყვიტა.

პრაიმ-ნიუსი

# მაღალმთიან აჭარაში დიდთოვლობაა

ორდღიანი გადაუღებელი თოვის გამო აჭარის მაღალმთიანეთში თოვლის საფარმა ნახევარ მეტრს გადააჭარბა. მაღალმთიან რეგიონებში ერთ მეტრამდე, დაბლობში კი 40 სანტიმეტრამდე თოვლია. მიუხედავად დიდთოვლობისა და უამინდობისა, მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდებსა და გადაადგილების პრობლემა არ შექმნია. ელექტროენერგია ყველა სოფელს მიეწოდება. გზებზე კი ტექნიკის დახმარებით დილიდან გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. გზის რთულ მონაკვეთებზე გადაადგილება მხოლოდ ორხიდიანი ტრანსპორტით არის შესაძლებელი. მედიანიუსი

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: „ბიძინა ივანიშვილი ჯერ ძალად არ ჩამოყალიბებულა“

შორენა გონგლაძე

**გასული წლის მუშაობის შედეგები ხელისუფლების მხრიდან ტრადიციულად დადებითად შეფასდა. ხელისუფლება მიღწევებით კმაყოფილია, თუმცა განსხვავებული მოსაზრებები გააჩნია პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს, რომელიც ამბობს, რომ გასულ წელს ხელისუფლების მიერ განხორციელებული გაუაზრებელი და არაფრისმომცემი პოლიტიკის წყალობით, გასული წელი არაფრით განსხვავდება წინა წლებისგან, ამ და სხვა თემებზე პოლიტოლოგი „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.**



ჰამლეტ ჭიპაშვილი

*– ბატონო ჰამლეტ, როგორ შეაფასებთ გასულ წელს, რა წარმატებები და ჩავარდნები გვქონდა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?*

– საშინაო პოლიტიკა ალბათ ორ ნაწილად უნდა გავყოთ, ერთი ნაწილი არის სააკაშვილის პოზიციის გამაგრება ყველა პარამეტრით, ხალხის დარწმუნება იმაში, რომ ის არის ერთადერთი და განუმეორებელი, ასევე ოპოზიციის დარწმუნება იგივეში და ოპოზიციის ნაწილის მოქრთამვა და სააკაშვილის ბანაკში გადაყვანა და რაც მთავარია, განწყობის შექმნა, რომ სააკაშვილი განახორციელებს იმას, რაც მას ჩაფიქრებული ჰქონდა, როდესაც ის ცვლიდა კონსტიტუციას, ანუ სააკაშვილი მიაღწევდა პრემიერ-მინისტრობას, მიუხედავად გარკვეული საწინააღმდეგო აზრისა საზოგადოებაში. გასული წლის პირველი ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს სააკაშვილის სერიოზულ გამარჯვებად როგორც ხალხზე, ისე ოპოზიციაზე და ამით მისი მმართველობის სამარადისოდ განმტკიცება და ასე გაგრძელდა, ვიდრე შემოდგომით არ გამოჩნდა ივანიშვილი, რომელმაც ფაქტიურად ყირაზე დააყენა ყველაფერი და ის, რაც პირველ ნაწილში იყო, კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისთვის ჯერჯერობით ორ ძალას შორის და, მე მგონი, სხვა ძალა არც გამოჩნდება; ერთ მხარეს არის სააკაშვილი და მეორე მხარეს – ივანიშვილი. ივანიშვილებში მე ის პარტიები მიმაჩნია, რომლებიც შეიყუჟნენ ივანიშვილის ფრთებქვეშ და მათ გამოუჩნდათ აღორძინების წარმოუდგენელი შანსი. არც რესპუბლიკელები და არც ალასანიას პარტია მსგავს ბედნიერებას არსაიდან არ ელოდა. ამ შემთხვევამ გამოიწვია მათი ფეხზე დაყენება, თორემ ივანიშვილის გამოჩენამდე ხელისუფლებაში კი არა ორი პროცენტის დაგროვების შანსიც კი არ ჰქონდათ არჩევნების დროს. ასე რომ, წლის მეორე ნახევარში შეიქმნა გაურკვეველი სიტუაცია და ის, რაც სააკაშვილმა ამ რვა წლის განმავლობაში ჩამოაყალიბა, ეს ყველაფერი დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ შემოდგომის შემდეგ. სააკაშვილი უკვე იბრძვის საკუთარი თავის გადასარჩენად, ხოლო ძალა, რომელიც ივანიშვილის ირგვლივ იკრიბება, ეს ძალა მხოლოდ ივანიშვილზეა ჩამოკიდებული, ივანიშვილი იმდენად მოულოდნელი და ძლიერი მეტოქეა სააკაშვილისთვის, რომ ეს ყველაფერი როგორ დამთავრდება, არავინ იცის.

*– ივანიშვილის გარშემო შეკრებილ პარტიებს თქვენ ძალას ეძახით?*

– ამაში აშკარად გეთანხმებით, ისინი არავითარ ძალას არ წარმოადგენენ, ეს არის ის პარტიები, რომლებსაც შესანიშნავი შანსი გამოუჩნდათ რეანიმაციისთვის. როგორ მოხდება მათი შეკავშირება, ამას დაგვანახვებს მიმდინარე წელი.

*– ივანიშვილის სახელი ფინანსებთან ასოცირდება, მაგრამ ამ გასაცოდავებული პარტიების მკვდრეთით აღდგენას რა ფული უშველის?*

– რესპუბლიკელებს და ალასანიას პარტიას დავარქმევდი ყოფილ დიპლომატთა პარტიებს. ეს ის პარტიებია, რომლებსაც ალბათ მილიარდები რომ დაახარჯო, არაფერი უშველის. მოგეხსენებათ, ფულის მიცემაც ასე იოლად აღარ მოხდება, უფრო მეტად იმოქმედებს ერთი ადამიანის ავტორიტეტი, ეს არის ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი, მის ირგვლივ დაირაზმებიან სუსტები, მხოლოდ მისი ავტორიტეტით თუ მოახერხებს ოპოზიცია რაღაცის მიღწევას. სხვა მხრივ ის პარტიები რომლებიც ივანიშვილის ფრთებქვეშ არიან შეყუჟული, არავითარ ძალას ისინი არ წარმოადგენენ. ჩემთვის გასაოცარია, რაში სჭირდებოდა ივანიშვილს მათთან ჩახუტება, რადგანაც მათთან ურთიერთობამ ივანიშვილს უფრო მეტი ავნო, ვიდრე რაღაც მოუტანა.

*– საზოგადოებისთვის ყველაზე აქტუალური და ჯერჯერობით პასუხგაუცემელი კითხვაა, რაში დასჭირდა ივანიშვილს ისეთ ურეიტინგო და არაპოპულარულ პარტიებთან თანამშრომლობა. თქვენ რა ახსნას უძებნით ამ ყველაფერს?*

– მე დიდ სიბრძნეს ვერ ვხედავ იმაში, რაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ხალხს მე მთვარიდან ხომ ვერ ჩამოვიყვანდიო, საზოგადოება ივანიშვილისგან ელოდა ახალ სიტყვას და არა გაცვეთილ და საზოგადოებისათვის აშკარად მიუღებელ პარტიებთან თანამშრომლობას, ასეთია ეს ორი პარტია, ალასანია და რესპუბლიკელები. საზოგადოებამ უყურა რამდენიმე წლის წინათ ახალგამოჩეკილ ალასანიას, ეგონა, რომ საზოგადოება მისგან რაღაცას მიიღებდა, მაგრამ იმედგაცრუების გარდა საზოგადოებისგან არაფერი მიუღია მისგან. ცხადია, ივანიშვილი მთვარიდან ხალხს ვერ ჩამოიყვანდა, მაგრამ სწორედ აქ იყო საჭირო სიბრძნე, რომ საზოგადოებაში მოეძებნა ხალხის ის კატეგორია, რომელიც იქნებოდა ახალი ძალა, თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ივანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული პარტია განსხვავებული იქნება სხვებისგან, მაგრამ როდესაც ლაპარაკია კოალიციაზე, ასეთი „მეგობრების“ ყოლა ყოველთვის ნიშნავს საკუთარი იდეების დისკრედიტაციას. ერთი რამ არის საზოგადოებისათვის საეჭვო, რომ ასეთ პარტიებთან მეგობრობა ხალხს სიკეთეს არ მოუტანს. ამის შესახებ ძალიან ბევრი ითქვა უკვე ქართულ პრესაში.

*– რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, თუ გვქონდა რაიმე წარმატებები გასულ წელს?*

– საგარეო პოლიტიკაში, ისე როგორც ამ უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში, რუსეთის სახით ყალიბდებოდა მტრის ხატი და ეს განმტკიცდა კიდევაც ახალ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, სადაც თუ არ ვცდები ორმოცჯერ იყო ნახსენები მტერი, რუსეთის სახით. ამ წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლებამ შეძლო ასეთი მტრის ხატის ჩამოყალიბება. ეს იყო ნაციონალების მთავარი იდეოლოგია, მტრის ხატის ირგვლივ სააკაშვილმა დარაზმა საქართველო და ძალიან ხშირად ხდება ამ მტრის ხატის იმიჯის გაღვივება როგორც ხელოვნებაში, ისე კულტურაში და საერთოდ ყველაფერში, აღარაფერს ვამბობ პოლიტიკასა და ეკონომიკაზე. ხელოვნურად მტრის ხატის შექმნა არ იძლევა მნიშვნელოვანს არაფერს, გამოკითხულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ სურთ რუსეთთან ეკონომიკური და სხვა ურთიერთობების გაუმჯობესება, თურმე იდეოლოგია, რომელიც შეიქმნა მტრის ხატის ირგვლივ, არ ყოფილა ისეთი მყარი, როგორც ეს სააკაშვილს ეგონა. საქართველოს ხელისუფლება თვლის, რომ უაღრესად დიდი წარმატება იქნა მიღწეული მაშინ, როდესაც ევროპარლამენტმა რუსეთს დაარქვა სახელი ოკუპანტი, თითქოს ამით დამკვიდრდა ეს ტერმინი რუსეთთან მიმართებაში და სააკაშვილმა ეს შემდეგ იმით განმარტა, რომ როდესაც არსებობს ასეთი დამკვიდრებული ტერმინი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამას აუცილებლად მოჰყვება დეოკუპაცია. ასევე იყო ისეთ წარმატებებზე ლაპარაკი, როგორიც არის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა. რუსეთმა საქართველოს მხრიდან ეს ბრიყვული თამაში წმინდად მოიგო, ყოველგვარი დათმობების გარეშე. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეს არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია მე თავიდანვე ვამბობდი, რომ საქართველოს არც არავინ შეხედავს, მთავარია რუსეთმა გადაწყვიტოს თავისი საკამათო პრობლემები უპირველეს ყოვლისა ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. როდესაც ეს ყველაფერი გადაწყდა, თითქოს დარჩა ერთი საკითხი და ეს საკითხი ასე იყო წარმოჩენილი ქართველი ხალხის წინაშე, რასაც ერქვა ქართული ბარიერი, სინამდვილეში კი არავითარ ქართულ ბარიერს ადგილი არ ჰქონია ვინაიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა კენჭისყრით ამ საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მაინც ჩათვალა მიზანშეწონილად, რომ ასეთი პრეცედენტ არ შექმნილიყო მისი ე.წ. სტრატეგიული მოკავშირის მხრიდან, მან უბრალოდ თითი დაუქნია სააკაშვილს და უთხრა, რომ ის მოაწერდა ამ ხელშეკრულებას ხელს. ასე მარტივად გადაწყდა ეს საკითხი, არავითარი ქართული წარმატება არ ყოფილა, ეს ყველაფერი არის ბლეფი და პიარის ნაყოფი. საქართველოს მოსახლეობას ხელისუფლებამ მოატყუა და დღესაც ატყუებს, თითქოს მან რუსეთთან გაიმარჯვა ამ პაექრობის დროს, ამ დროს კი რეალურად საქართველომ ყველა პარამეტრით წააგო რუსეთთან ეს უსაფუძვლო და უჭკუო პაექრობა. თავიდანვე ჩვენ უნდა აგვერჩია სხვა გზა, ვინაიდან უნდა გვცოდნოდა, რომ თუკი მსოფლიო მოინდომებდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, საქართველო ვერავითარ შემთხვევაში მათ წინ ვერ აღუდგებოდა.

# დაჭრილი ნადირაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია

როგორც „მედიანიუსს“ ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკის ( მიხეილის საავადმყოფო) განუცხადეს, 23 წლის ნადირაძე უმძიმეს მდგომარეობაშია, ის რეანიმაციულ განყოფილებაში კომატურ მდგომარეობაში იმყოფება და ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.

24 წლის ვაჟა კორკოტაშვილი კი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან დღეს დილით მოხსნეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია.

შეგახსენებთ, რომ აკაკი შანიძის ქუჩაზე ორი დღის წინ სისხლიანი გარჩევა მოხდა, რომლის შედეგადაც ორი ახალგაზრდა მამაკაცი ჩაცხრილეს.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

მედიანიუსი

**თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის**

განცხადება

ა(ა)იპ „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია“ აცხადებს ვაკანსიას პრესის გარე რეალიზატორის (გამყიდველის) პოზიციაზე. გამყიდველის საშუალო ხელფასია 500 (ხელფასზე დამატებული ბონუსით) ლარი. უპირატესობა მიენიჭებათ პირებს 20-დან 55 წლამდე.

**მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ ტელ.: 298-40-39; 243-83-45. 599-79-34-25;**

ადმინისტრაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხათუნა კალმახელიძე გვპირდება, რომ 2012 წელს ევროპულ ციხეებში გამოგვკეტავს

შალვა ჯოხაძე

ხათუნა კალმახელიძე ამხელს, თუ რას აპირებს 2012 წელს. მინისტრი მის მიერ დაგეგმილი 10 მიმართულების შესახებ საუბრობს. კალმახელიძის თქმით, ეს სამინისტროს მუშაობის ძირითადი მიმართულებები იქნება. მინისტრი გვაიმედებს, რომ მომავალ წელს საქართველოში ევროპული სტანდარტის ციხეები საბოლოოდ ჩამოყალიბდება.



ხათუნა კალმახელიძე

ხათუნა კალმახელიძე:

– 2012 წელს სამინისტროს ძირითადი პრიორიტეტები პენიტენციური რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი ის მიმართულებებია, რომლის შედეგადაც საბოლოოდ დაინერგება ევროპული სტანდარტები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში.

უფრო დაწვრილებით, სამინისტროს 10 მთავარ მიმართულებას რაც შეეხება, ესენია:

ყველა მსჯავრდებული ახალ დაწესებულებებში – ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურში პატიმრობისა და შერეული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების აშენების შედეგად ყველა დანარჩენი ძველი დაწესებულება დაიხურება;

დაწესებულება გისოსებს გარეშე – დაიწყება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მშენებლობა. გისოსებს გარეშე, ახალი ტიპის დაწესებულებაში სასჯელს ის პირები მოიხდიან, რომლებიც ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთის შემდგომ რეაბილიტაციას საჭიროებენ;

პირადი ექიმი ყველა პატიმარს – ჯანდაცვის სერვისის სამოქალაქო სექტორთან გათანაბრების მიზნით დაწესებულებებში დაინერგება პირველადი ჯანდაცვა. ყველა პატიმარს ეყოლება პირადი ექიმი, გაიხსნება ტუბერკულოზის სამკურნალო ცენტრი;

საზოგადოებრივი მისაღები ხალხის სამსახურში – ყველა დაწესებულებასთან საზოგადოებრივი მისაღების ამოქმედების და ვიზიტორებისთვის სერვისების გამარტივების შედეგად ხალხს აღარ მოუწევს ლოდინი, არაკომფორტულ გარემოში ყოფნა და ხანგრძლივი პროცედურების გავლა;

პროფესიული განათლება ყველა მსჯავრდებულს – დაწესებულებებში დამატებით საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო სახლების აშენების შედეგად მსჯავრდებულები შეისწავლიან მოთხოვნად პროფესიებს, რათა გათავისუფლების შემდეგ გამარტივდეს მათი დასაქმება;

ოჯახის გაძლიერების პროგრამა – გაგრძელდება ხანგრძლივი და ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფარასტრუქტურის მშენებლობა იმისათვის, რომ მსჯავრდებულებმა შეძლონ ოჯახების შენარჩუნება და ჰქონდეთ ახლობლებთან მუდმივი ურთიერთობა;

ანაზღაურებადი სამსახური მსჯავრდებულთათვის – დაწესებულებებში სხვადასხვა ტიპის საწარმოების ამოქმედების შემდეგ, სასჯელის მოხდის პერიოდში დასაქმების შედეგად პატიმრები შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ;

ინდივიდუალური პროგრამები პრობაციონერებისათვის – პრობაციის ახლებური ბიუროს შექმნის შედეგად ინდივიდუალური მიდგომის და რისკების შეფასების საფუძველზე პრობაციონერები ადგილზე ჩაერთვებიან სარეაბილიტაციო პროგრამებში. დაინერგება კონტროლის ახალი მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს საპრობაციო ვადის უმტკივნეულოდ გასვლას;

იურიდიული დახმარება თქვენთვის სასურველ ადგილას – იურიდიული დახმარების მობილური ჯგუფის შექმნის შედეგად კვალიფიციური ადვოკატები თავად მივლენ სოფლებში თუ რაიონულ ცენტრებში, რათა მსურველებს ადგილზე გაუწიონ იურიდიული კონსულტაცია და დახმარება;

კვალიფიციური კადრები ეფექტური რეფორმებისთვის – რეფორმების ეფექტურად განხორციელების მიზნით უწყების სასწავლო ცენტრში, სხვადასხვა მიმართულებით, პერმანენტულად გადამზადდებიან სამინისტროს თანამშრომლები.

ხათუნა კალმახელიძის თქმით, სამინისტროს მთლიანი გუნდი დასახული რეფორმების წარმატებით განხორციელებისთვის 24 საათის განმავლობაში იმუშავებს.

# „ჰიუმან რაითს უოჩი“ ვანო მერაბიშვილს იზოლატორებს უწუნებს

## რა შეცდომას აღიარებენ პარლამენტში

შალვა ჯოხაძე

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოების არასრულყოფილი სისტემა – ასეთ შეფასებას აკეთებს „ჰიუმან რაითს უოჩი“ ქართული რეალობის შესახებ. ამ გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომედგენელთა განცხადებით, ადმინისტრაციულ სამართალადარღვევათა კოდექსი ადამიანის უფლებებს არღვევს.

– ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რეგულირების არსებული სისტემა არღვევს ბრალდებულის უფლებებს სათანადო სამართლებრივ პროცედურებზე, – ნათქვამია „ჰიუმან რაითს უოჩის“ 4 იანვარს გამოქვეყნებულ ანგარიშში.

ორგანიზაციის ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლება სისტემის რეფორმას ახორციელებს, მაგრამ მან, ბრალდებულთა უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, გადაუდებელი ზომები უნდა გაატაროს.

41-გვერდიანი ანგარიში სათაურით: „ადმინისტრაციული შეცდომა: საქართველოს ადმინისტრაციული პატიმრობის არასრულყოფილი სისტემა“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს აანალიზებს, რომელიც ნაკლებად მძიმე სახის დანაშაულსა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არეგულირებს. ორგანიზაცია ასკვნის, რომ კოდექსი სათანადო სამართლებრივ პროცედურებსა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლებების გარანტიებს არ ითვალისწინებს. 1984 წელს მიღებული კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 90-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, მაგრამ პოლიციისგან არ მოითხოვს, რომ მან დაუყოვნებლივ მიაწოდოს ბრალდებულს ინფორმაცია მისი უფლებების ან დაკავების მიზეზების შესახებ. დაკავებულ პირს ხშირად უფლებასაც არ აძლევენ, რომ ოჯახის წევრებს დაუკავშირდეს. აგრეთვე, ადვოკატებს სირთულეები ხვდებათ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მოძიებაში. სასამართლო სხდომები უმეტესად ფორმალურად ტარდება. დაკავებული პირები ისეთ ადგილებში იხდიან სასჯელს, სადაც 72 საათზე მეტი ხნით ადამიანების გაჩერება გათვალისწინებული არ არის და სადაც პირობები საერთაშორისო სტანდარტებს არ აკმაყოფილებს.

– დაკავებული პირი სისტემის რეფორმირების დასრულებას არ უნდა ელოდეს იმისათვის, რომ მისი ძირითადი უფლებები დაცული იყოს და მას პატივისცემით მოეპყრან. მოძველებული კოდექსის ცვლილებებზე მუშაობა ნამდვილად იმედისმომცემი ფაქტია, მაგრამ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შესავსებად სასწრაფო ზომებია მისაღები, – ამბობს „ჰიუმან რაითს უოჩის“ უფროსი მკვლევარი ევროპასა და შუა აზიაში და ანგარიშის ავტორი გიორგი გოგია.

– უკანასკნელი წლების განმავლობაში, ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობის ზრდისას, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებს მიმართავდნენ აქტივისტებისა და საპროტესტო აქციებში მონაწილე ადამიანების დასაკავებლად, – აღნიშნულია „ჰიუმან რაითს უოჩის“ ანგარიშში.

ამავე ორგანიზაციის ინფორმაციით, 2011 წელს საქართველომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ახალი პროექტი მოამზადა, მაგრამ ივლისში საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კოდექსის ვარიანტი საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ნაკისრ ვალდებულებებს მაინც არ აკმაყოფილებს.

– საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები უნდა გაატაროს იმისათვის, რომ საქმის სამართლიან განხილვაზე ნებისმიერი დაკავებული პირის უფლება სრულად შეესაბამებოდეს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებებს; ამისათვის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სავარაუდო ჩადენისთვის დაპატიმრებულ პირს შეეძლოს, მესამე მხარეს თავისი ადგილსამყოფელი შეატყობინოს, ისარგებლოს დამცველის მომსახურებით და მისი ადმინისტრაციული საქმის სამართალწარმოება სამართლიანი სასამართლოს უფლებების სრული დაცვით მოხდეს – აღნიშნულია „ჰიუმან რაითს უოჩის“ ანგარიშში.

„ჰიუმან რაითს უოჩის“ ანგარიში ემყარება ინტერვიუებს, რომლებიც აღებულია ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი ათეულობით პირის ადვოკატებისგან, პატიმრობამოხდილი ექვსი პირისგან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის სასამართლოს მიერ დაჯარიმებული ორი პირისა და ხელისუფლების მაღალჩინოსანი წარმომადგენლებისგან. თითქმის ყველა რესპონდენტი, რომელსაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული, ოპოზიციის საპროტესტო აქციებში მონაწილეობისთვის იყო დაკავებული.

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევა საზოგადოებრივი წესრიგის მსუბუქი დარღვევაა და მას არ მოჰყვება ნასამართლეობა. თუმცა საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, გარკვეული სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის მაქსიმალური 90-დღიანი ვადის შეფარდება სისხლის სამართლის სასჯელს უტოლდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, მხოლოდ 2011 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის 31 ადამიანს მიესაჯა 90 დღიანი პატიმრობა, 132 ადამიანს – 60-დღიანი და 343-ს – 30-დღიანი. მაგრამ, როგორც



შსს

„ჰიუმან რაითს უოჩის“ კვლევამ აჩვენა, დაცვის ისეთი ძირითადი საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად, დაკავებული პირისთვის მისი დაკავების მიზეზების განმარტება ან მისთვის ოჯახის წევრების შეტყობინების უფლების მიცემა, უფრო სუსტი ან ბუნდოვანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ვიდრე ანალოგიური გარანტიები, რომლებსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩამდენი პირების უფლებას სათანადო სამართლებრივ პროცედურებზე არც სასამართლო იცავს. „ჰიუმან რაითს უოჩის“ მიერ შესწავლილი საქმეებიდან ჩანს, რომ სასამართლო სხდომა იშვიათად გრძელდება 15 წუთზე მეტს და მოსამართლის გადაწყვეტილება უმეტესწილად პოლიციელის მიერ მიცემულ ჩვენებას ეყრდნობა. იმ შემთხვევებშიც კი, როცა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მიცემული პირები ახერხებდნენ ადვოკატის აყვანას, მათ არასათანადო დრო ეძლეოდათ ეფექტური დაცვის განსახორციელებლად. „ჰიუმან რაითს უოჩის“ მიერ შესწავლილ ორ საქმეში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილ პირებს სასამართლო დარბაზში აშკარად აღენიშნებოდათ სხეულის ფიზიკური დაზიანებები, მაგრამ მოსამართლეებს ამის თაობაზე კითხვაც არ დაუსვამთ. ამას გარდა, ორგანიზაციის მიერ გამოკითხულმა ყველა იურისტმა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ხელის შემშლელ გარემოებებზე ისაუბრა, რაც ამ უფლებას ფაქტობრივად აზრს უკარგავს.

– ვინაიდან შესაძლო სასჯელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის სისხლის სამართლის სასჯელს უტოლდება, ნებისმიერი პირი, რომელსაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება, სათანადო სამართლებრივი პროცედურებისა და სასამართლოს ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორებითაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირები სარგებლობენ და თვითნებური დაკავების წინააღმდეგ იგივე გარანტიები უნდა ჰქონდეთ, – აღნიშნულია „ჰიუმან რაითს უოჩის“ ანგარიშში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის განაცხადა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ადმინისტრაციულ პატიმრობას იყენებენ, ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ სათანადო სამართლებრივი პროცედურებისა და საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიები იმისთვის, რომ დააკმაყოფილონ ის სტანდარტები, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან.

– თავად საქართველოს ინტერესებშია, რომ მოაწესრიგოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. თუ ამას არ გააკეთებს, დიდია ალბათობა იმისა, რომ ქვეყანა არაერთ საქმეს წააგებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, – ამბობს გიორგი გოგია.

როგორც „ჰიუმან რაითს უოჩი“ აღნიშნავს, პრობლემას წარმოადგენს, აგრეთვე, პატიმრობის პირობები. დაკავებული პირები სასჯელს იხდიან დროებითი მოთავსების იზოლატორებში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ამ იზოლატორებში უმეტესად სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულებს ბრალის წაყენებამდე და წინასწარი პატიმრობის ადგილებში გადაყვანამდე, არა უმეტეს 72 საათის განმავლობაში ათავსებენ. აქ ადამიანის უფრო დიდი ხნით გაჩერება გათვალისწინებული არ იყო.

– მართალია, ამ ბოლო წლებში ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარა დროებითი მოთავსების იზოლატორების განახლებისა და შეკეთებისთვის, მაგრამ კიდევ მეტის გაკეთებაა საჭირო ძირითადი საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის ყოველდღიურად შხაპის მიღებისა და სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლების, დასაკმაყოფილებლად, – აღნიშნულია „ჰიუმან რაითს უოჩის“ ანგარიშში.

ანგარიშები, რომლებიც წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადეს და, აგრეთვე, ყოფილი პატიმრების ჩვენებები იმაზე მიუთითებს, რომ პატიმრობის პირობები ამ იზოლატორებში ხშირად საერთაშორისო სტანდარტებს არ აკმაყოფილებს.

– საქართველოს ხელისუფლებამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. თუმცა, ვიდრე ეს მოხდებოდეს, ის ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაკავებული ნებისმიერი პირი სარგებლობდეს ადამიანის ძირითადი უფლებებით, – განაცხადა გიორგი გოგიამ.

ალსანიშნავია, რომ გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ანგარიშს გუშინვე გამოეხმაურნენ საქართველოს პარლამენტში. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კახა ანჯაფარიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ისინი „ჰიუმან რაითს უოჩის“ შეფასებას ეთანხმებიან, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოქმედი კოდექსი ძალიან მოძველებულია.

– კოდექსში ცვლილებები ხშირად შედის. ვცდილობთ, მას უფრო ოპტიმალური სახე მივცეთ. განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, პარლამენტში ინიცირებული და პირველი მოსმენით განხილულია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ და თვისობრივად ახალ დოკუმენტს ვამზადებთ. ეს იქნება ახალი აქტი, რომელიც ბევრ საკითხს ახლებურად დაარეგულირებს. იმედი გვაქვს, ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ამ სესიებზევე მივიღებთ, – აღნიშნა დეპუტატმა.

## გასწორება

„ახალი თაობის“ 4 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „როგორ შენდება ქუთაისის შემოვლითი გზა“ გაიპარა ტექნიკური სახის უზუსტობა. მასალაში საუბარია იმ პერიოდზე, როცა საქართველოს ფინანსთა მინისტრი იყო კახა ბაინდურაშვილი. ის მინისტრობის პერიოდში საუბრობდა ამ გზის მშენებლობაზე. სტატიაში ბაინდურაშვილი ისევ მინისტრად გვყავს მოხსენიებული. ამ გაუგებრობისთვის ბოდიშს ვიხდით. ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობასთან დაკავშირებით კი ახალ ინფორმაციებს მოგაწვდით.

# ხელისუფლების გაყოფა „ვარდოსნულად“

## ბიძინა ივანიშვილის პარტიას კახი კალაძე ჩაუდგება სათავეში?

ნინო მეტრეველი

საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე ათამდე პოლიტიკური ძალაა. ბიძინა ივანიშვილის შემოსვლამდე კი კბენდნენ ერთმანეთს და გვერდით აჩოჩებდნენ, მაგრამ სხვადასხვა სიდიდის სეგმენტს მაინც ინარჩუნებდნენ.

პოლიტიკურ არენაზე შემოსულმა ახალმა მოთამაშემ შემოსვლისთანავე ოპოზიციური ნიშის მთლიანად შევსება თავად მოისურვა, რჩეულ პოლიტიკურ ძალებთან ერთად. ორ პოლუსს შორის რეიტინგული ძალებიდან მოექცნენ ქრისტიან-დემიკრატები, ლეიბორისტები და ახალი მემარჯვენეები – შედარებით მცირე, მაგრამ მაინც ერთგული ამომრჩევლით.

არსებული კვლევები აჩვენებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ჯერჯერობით ოპოზიციურ ელექტორატზე იმუშავა და ხმები ძირითადად ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს წაართვა. ივანიშვილის პოლიტიკური პარტიის დაფუძნება იანვრის ბოლოსაა დაგეგმილი. თვითონ ბიზნესმენი პარტიის ლიდერი ვერ გახდება. ის ჯერ კიდევ არ არის საქართველოს მოქალაქე და კარგა ხანს ვერ იქნება. კი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რაც საქართველოს მოქალაქეობის მისაღებადაა საჭირო, მაგრამ ამისთვის პრეზიდენტ სააკაშვილის დასტურია საჭირო. პროცედურებიც ისეა გაწერილი, დიდი შანსია არჩევნებამდე საქართველოს მოქალაქის პასპორტი ვერც ჩაიდოს ჯიბეში. ასეთ შემთხვევაში მის პოლიტიკურ ძალას მისი რომელიმე ახლობელი ჩაუდგება სათავეში. ივანიშვილის განცხადებით, მისი ვაჟი, ან ახლო ნათესავი, მაგრამ ბოლო მოარული ხმებით, ახალი პოლიტიკური ძალის ლიდერი შეიძლება ყოფილი ფეხბურთელი კახი კალაძე გახდეს.

ხელისუფლებისთვის არჩევნებში ორი ბანაკი იბრძოლებს: ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ თავისი პარტნიორებით. გამარჯვების პერსპექტივები ჯერ გამოკვეთილი არ არის. ჯერჯერობით ნაცმოძრაობა და ოპოზიციად გადაქცეული მისი ყოფილი თანამოძმენი ერთმანეთს კუნთებს უსინჯავენ. ბრძოლა იოლი არ იქნება, რადგან გაოპოზიციონერებმა კარგად იციან მეტოქის ილეთები. ცნობილი ანდაზასავითაა, ხემ რომ თქვა, ცული რას მიზამდა, შიგ ჩემი გვარის რომ არ ერიოსო. ნაცების გვარის კი ივანიშვილის ალიანსში უამრავია, უფრო სწორად, დღეს ამ ფლანგზე მხოლოდ ვარდოსნები ჩანან. ამიტომ დადის ხმები ხელისუფლების არა ძირეულ შეცვლაზე, არამედ ჩანაცვლებაზე. ეს ხმები ირაკლი ალასანიას ნათქვამმაც გაამყარა, არჩევნებში მეორე ადგილზეც თანახმა ვართ და სააკაშვილთანაც ვითანამშრომლებთო. ძალიან საინტერესოა, რომ ახალი ერთობა მზადაა ითანამშრომლოს ნაციონალურ მოძრაობასთან და არავითარ შემთხვევაში რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან. უფრო საინტერესოა, რომ იმ რამდენიმე პოლიტიკურ ძალაში, ვისთანაც არ ითანამშრომლებენ, სწორედ არავარდოსნები არიან. ლეიბორისტები და ახალი მემარჯვენეები ვარდების რევოლუციიდან შორს დადგნენ, ქრისტიან-დემოკრატები კი მაშინ ჯერ პოლიტიკურ კვერცხში წიოდნენ.



ბიძინა ივანიშვილი

„ქართული ოცნება“ მხოლოდ არჩევნებით აპირებს ბრძოლას. ამ ფრონტზე კი ხელისუფლება ყოველდღე იმაგრებს პოზიციებს. თუ იმედები მხოლიდ დასავლეთზეა, საეჭვოა ამას ნაციონალური მოძრაობის დამარცხება მოყვეს. დასავლეთის იმედები ჰქონდა საარჩევნო კანონის შეცვლისას „რვიანს“ და „ექვსიანს’, რომლის ბირთვს სწორედ ივანიშვილის პარტნიორი პოლიტიკური ძალები წარმოადგენდნენ, მაგრამ ნაცებმა ისე მოირგეს ტანზე ახალი ცვლილებები, ამერიკამ მხოლოდ ბოლოს წაიკრუტუნა.

არსებული რეალობიდან დანახული პერსპექტივით, მომავალ ხელისუფლებას ნაციონალური მოძრაობა და ბიძინა ივანიშვილის ალიანსი გაიყოფს ლოზუნგით, „ვარდოსნები წავიდნენ, გაუმარჯოს ვარდოსნებს!’ თავიდან ივანიშვილმა კი თქვა. ყველა მინუს სააკაშვილიო, მაგრამ ალასანიამ ამ სიაში სააკაშვილიც ჩაწერა. ყოფილი დიპლომატი ჯერ კიდევ ვერ „გაიცვითა“ პოლიტიკაში და ხშირად იმას ამბობს, რაც არ უნდა თქვას, ნაადრევად ხსნის კარტებს.

რა სახის შეიძლება იყოს ეს თანამშრომლობა, ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. რესპუბლიკელები უარყოფენ ხმებს სააკაშვილის პარლამენტის თავმჯდომარეობაზე. ვნახოთ. სააკაშვილს კი ძალიან უნდა გაპრემიერება, მაგრამ პუტინიზაციას „დემოკრატიის შუქურა“ ქვეყანაში, სადაც უამრავი ფული აქვთ ჩაქცეული, დასავლეთი არ დაუშვებს. უნდა თუ არა დღევანდელ პრეზიდენტს მომავალი პარლამენტის თავმჯდომარეობა, ეს შემოდგომით გამოჩნდება. ასეთ შემთხვევაში მას პრეზიდენტის პოსტის დატოვება და ნაციონალური სიის პირველი ნომრობა მოუწევს. სიაში მისი ყოფნა სახელისუფლებო პარტიას მეტ ენერგიას და გამარჯვების იმედს მისცემს, დავით ბაქრაძე კი ოცნებას აისრულებს და დროებით პრეზიდენტი გახდება, თუ მუდმივად არა. ამ პოსტზე ბაქრაძე „იმ ვანოს“ კანდიდატურაა.

მომავალ პარლამენტს ორ ბანაკად გაყოფილი ყოფილი ვარდოსნები დააკომპლექტებენ და სავარაუდოდ ალმასრულებელსაც გაიყოფენ. მაგრამ ცხონებული ჯაბა იოსელიანის არ იყოს, დემოკრატია ფაფის ჭამა არაა. ამერიკასა და ინგლისში კი არის მხოლოდ ორი წამყვანი პარტია, რომლებიც ხელისუფლებაში ერთმანეთს ანაცვლებენ, მაგრამ ისინი ჩვენზე ცოტათი მაინც დაწყობილი ქვეყნებია. თუნდაც იმიტომ, რომ ორმა ძალამ პური და ყველივით არ გაიყოს ქვეყანა და დემოკრატიის შუქურაც უფრო ბრდღვიალებდეს, საქართველოს პარლამენტში ათადან და ბაბადან არის მესამე პოლიტიკური ძალა, მართლია ისეთი მცირე რაოდენობით, რომ კლიმატს ვერ ქმნიან, მაგრამ დემოკრატიის ფასადს ძალიან უხდებიან.

ვინ შეიძლება იყოს მომავალ პარლამეტში მესამე ძალა? სოციოლოგიური გამოკითხვების და პოლიტიკური გემოვნების მიხედვით – ქრიატიან-დემოკრატები. მათზე მოარულ ჭორებს რომ თავი დავანებოთ, ხელისუფლებასთან ფლირტზე პრეზიდენტმა ისინი რამდენჯერმე შეაქო, ა, ძმაო, ოპოზიცია, კონსტრუქციულად აკეთებენ ქვეყნის საქმეს, დანარჩენებს არ გვანანო. ხელისუფლების „საგარეო-საჩვენებელ ოპოზიციას“ ბოლო დროს ახალი მემარჯვენეები დაემატნენ. ნაცმოძრაობა წინაალმდეგი არ იქნება, თუ მათი და „ქართული ოცნების“ გარდა პარლამენტში ქრისტიან-დემოკრატებიც შეავსებენ სავარძლებს, სხვათა შორის, არც ბიძინა ივანიშვილი. მან პირველად კი გამოლანძღა გიორგი თარგამაძე და მისი პარტია, სულ მერაბიშვილის პარტია და ფსევდოოპოზიცია ეძახა, მაგრამ იმავე დროს შინაგან საქმეთა მინისტრს ლამის ერის კაცის სტატუსი მიანიჭა. ჰოდა, თუ ქრისტიან-დემოკრატები მერაბიშვილის შექმნილი პარტიაა, თვითონ მერაბიშვილი კი ივანიშვილის სანაქებო მინისტრი, მაშინ ივანიშვილს და ქრისტიან-დემოკრატებს გასაყოფი რაღა აქვთ? ბოლო დროს არც ჩხუბობენ. ბოლოს ნარიყალას სასახლის მეპატრონე კი არა, მისი პარტნიორებიც კი დათბნენ, როცა აქამდე გიორგი თარგამაძის ლანძღვას არაფერი ერჩიათ.

დავით გამყრელიძემ პირობა დადო, მომავალ პარლამენტში თუ არ ამირჩევთ, პარტიის თავმჯდომარეობიდან მივდივარო. რაღაცის მიმანიშნებელი მძიმე პირობაა. მას მოსწყინდა პოლიტიკა და „სახლში“ უნდა, ან აქვს გარანტიები, რომ მისი პარტია მომავალ პარლამენტში აუცილებლად იქნება. მოწყენის დიდად არაფერი ემჩნევა. რჩება მეორე. ახლებს ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდებათ, მაგრამ ორ-სამი მაჟორიტარული ოლქის მოგება კი შეიძლება შეძლონ. წინა არჩევნებში ეს უკვე მოხდა. მაშინაც დადიოდა ხმები, ხელისუფლებამ უწყალობა თბილისში საგანელიძეს და გამყრელიძეს მოგებაო.

მოხვდებიან თუ არა მომავალ პარლამენტში ლეიბორისტები? თუ მათმა ამომრჩეველმა ძალიან არ მოინდომა და ამერიკიდანაც არ იქნა ბიძგი, გაუჭირდებათ. შალვა ნათელაშვილი და მისი პოლიტიკური ძალა არც ნაცებს ეხატებათ გულზე და არც ივანიშვილს. შესაბამისად, ორივე ერთად და ცალცალკე ეცდებიან ლეიბორისტების გარეთ დატოვებას.

მომავალი კონტურები პარტია „ახალი ოცნების“ დაფუძნების შემდეგ უფრო გამოიკვეთება, იმის მიხედვით, ვის ვიხილავთ ახალ პარტიაში. ალბათ ახალი პარტია მოქმედებაზეც გადავა და მისი გზაც გამოჩნდება. დღეს კი ასეა: გაუმარჯოს ვარდოსნებს!

# ამ ხელისუფლების გამოსწორება არ იქნება

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ გიორგი ხოშტარიასთან

საქართველომ რთულ ვითარებაში მყოფმა შეაბიჯა 2012 წელში.

ეს სააკაშვილს, მის ხელისუფლებას და საახალწლო პომპეზურ კონცერტებს არ ეტყობათ.

თუმცა, ფაქტია, რომ მათ გასულ წელს საზოგადოების მხარდაჭერა მნიშვნელოვნად დაკარგეს და ნიადაგიც შეერყათ.

2011 წელს სააკაშვილმა და მისმა ძალოვანებმა არ უღალატეს გამოცდილებას და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ არაერთი ანტიჰუმანური ქმედება ჩაიდინეს.

მათ შორისაა 26 მაისის სისხლიანი აქცია.

გაგიკვირდებათ და სააკაშვილის ანტიჰუმანური ხელისუფლება ცდილობს მიეტმასნოს ისეთი ჰუმანური პიროვნების პოლიტიკურ ფილოსოფიასა და აზროვნებას, როგორიც გახლდათ აწ განსვენებული ვაცლავ ჰაველი. თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს მათთვის ჰაველის ჰუმანიზმი და პოლიტიკური აზროვნება ძალიან ახლობელია.

ამ დროს სააკაშვილს, მის ჯგუფს და ნაციონალ იდეოლოგებს, მათი 17 წლიანი ხელისუფლებაში ყოფნის მიუხედავად, ნამდვილი პოლიტიკური აზროვნება ვერ ჩამოუყალიბდათ. ჰაველი ჰუმანური ადამიანი იყო და აზრადაც კი არ მოუვიდოდა სააკაშვილივით აქციები დაერბია, ადამიანები დაეხოცა, შემდეგ კი მათი ცხედრები შენობების სახურავებზე დაეყარა, როგორც ეს თბილისში 2011 წლის 26 მაისს გააკეთეს.

აქვთ თუ არა რაიმე საერთო სააკაშვილსა და მის იდეოლოგებს ჰაველის პოლიტიკურ ფილოსოფიასთან, ამის თაობაზე გვესაუბრება გიორგი ხოშტარია, რომელიც 1989 წელს ჰაველს მოსკოვში ზვიად გამსახურდიასთან ერთად შეხვდა და ესაუბრა.

***– ბატონო გიორგი, სააკაშვილი და მისი იდეოლოგები თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს ყოფილი დისიდენტისა და ჩეხეთის პრეზიდენტის, აწ გარდაცვლილი ვაცლავ ჰაველის პოლიტიკური აზროვნება მათთვის სისხლხორცეულად ორგანულია. თქვენ რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?***

– ვაცლავ ჰაველი ნამდვილი ანტიკომუნისტი იყო. ეს მან მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცა. ციხეში ძალიან ხშირად იჯდა და ებრძოდა კომუნისტებს. ჰაველი იშვიათი გამონაკლისია, რადგან ის იყო, როგორც კარგი დისიდენტი, ასევე – კარგი პრეზიდენტი. იგი ნამდვილად დიდი ჰუმანისტი გახლდათ, ჩეხებისა და სლოვაკების გაყოფა აბსოლუტურად ხავერდოვნად მოხდა – ერთი ტყვიაც კი არ გავარდნილა.

***– რა საერთო შეიძლება ჰქონდეს სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას ჰაველის პოლიტიკურ ფილოსოფიასთან?***

– სააკაშვილს აქვს ამის საბაბი, რადგან ჰაველი საერთოდ საქართველოს ყოველთვის უჭერდა მხარს, სააკაშვილის მოსვლამდეც, როგორც პატარა ქვეყანას. გარდა ამისა, აგვისტოს ომის დროსაც და შემდეგაც ჩვენი ქვეყნის მხარდასაჭერად განცხადებები გააკეთა. ნაცელი აცხადებდა, რომ პატარა ერი ისჯება იმიტომ, რომ დასავლეთისკენ მიიწევს. ის სააკაშვილს კი არ უჭერდა მხარს, არამედ – საქართელოს. თავისი შინაგანი კულტურით, თავისი არსით, ჰაველი აბსოლუტურად განსხვავებული პიროვნებაა. მას არაფერი საერთო სააკაშვილთან არ აქვს. სააკაშვილის დასავლური ორიენტაცია უფრო პოლიტიკურია, ვიდრე ფასეულობებზე დამყარებული. ფასეულობებით სააკაშვილი დასავლელი არ არის. თუნდაც დავიწყოთ იქიდან, რომ სამართლიანი არჩევნები და, საერთოდ, სამართლიანობა არის ღერძი დასავლური ფასეულობებისა. საქართველოში კი არც ერთია და არც მეორე. ასე რომ, არსობრივად ჰაველის პოლიტიკურ აზროვნებასა და სააკაშვილის აზროვნებას შორის საერთო არაფერია, მაგრამ ალბათ იმიტომ საუბრობენ ამაზე და ორდენიც მისცეს, რომ საქართველოს გამოექომაგა. სააკაშვილი ამას თავის თავზე იწერს.

***– სააკაშვილს უნდოდა ჰაველი საქართველოში ჩამოეყვანა, მაგრამ ის არ ჩამოვიდა.***

– იმიტომ კი არა, რომ მაინცდამაინც სააკაშვილთან არ ჩამოვიდა, ფიზიკურადაც უკვე დასუსტებული იყო. ორდენი მიიღო. ძალიან ბევრი დასავლელი პოლიტიკური მოღვაწე და განათლებული ადამიანი უბრალოდ საქართველოს უჭერს მხარს, რადგან პუტინი არ მოსწონთ. პუტინი არც მე მომწონს. ამ შემთხვევაში, რადგან სააკაშვილი, ისე თუ ასე, კანონიერად თუ არაკანონიერად, საქარველოს პრეზიდენტია და რეალურად ის მართავს ქვეყანას, ამდენად, თავის თავზე იწერს მათ მხარდაჭერას. მათ შორის, ისეთი ნათელი პიროვნებისას, როგორიც იყო ჰაველი.

***– მოგეხსენებათ, ჰაველის პოლიტიკური ფილოსოფიაა, ძალა უძალოთა...***

– დიახ, მისი პოლიტიკური კრედოა, პოლიტიკა უზნეო არ შეიძლება იყოს, მცდარია წარმოდგენა, რომ პოლიტიკაში აუცილებლად უზნეო კაცი უნდა იყოს და უზნეოდ იქცეოდეს. ჰაველისთვის პირიქითაა, ნამდვილი პოლიტიკა არის ზნეობრივი.

***– მოდით, ისიც ვთქვათ, სააკაშვილის აზროვნება რამდენად შეესაბამება ჰაველის პოლიტიკურ ფილოსოფიას.***

– საერთოდ არ შეესაბამება. საქართველოში ჩვენ ჩვენი თვალით ძალიან ბევრ უზნეობას ვხედავთ. ჰაველის პოლიტიკური ფილოსოფიის მთავარ პრინციპს სააკაშილი, რა თქმა უნდა, არ ასრულებს. როგორ შეიძლება 26 მაისის ხოცვაჟლეტის მომწყობისა და მრავალი სხვა უბედურების ჩამდენი კაცი ჰაველს შევადაროთ.



გიორგი ხოშტარია

***– რამდენადაც ცნობილია, თქვენ და ზვიად გამსახურდია ჰაველს მოსკოვში შეხვდით. ამ შეხვედრის თაობაზე უფრო დაწვრილებით ხომ არ ისაუბრებდით?***

– 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ზვიადს ქალაქიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა. ამ დროს ჰაველი გახდა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი და გორბაჩოვმა ის თავისთან მოიწვია. ჰაველმა თავის საელჩოს დაავალა, რომ ვინც საბჭოთა კავშირში დისიდენტი ან ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატი იყო, შეეხვედრებინათ. 40-მდე კაცი მიიწვიეს. მათ შორის იყო ზვიადიც. ჩვენთან დარეკა ჩეხოსლოვაკიის საელჩოს მეორე მდივანმა და მიიწვია ზვიადი. ზვიადმა უთხრა, ვერ ჩამოვალო. შემდეგ მე მომცა მისი ტელეფონის ნომერი და მთხოვა სიტუაცია ამეხსნა. მე დავურეკე და ვუთხარი, რომ ზვიადი ვერ ჩამოვა, 9 აპრილის შემდეგ მას თბილისიდან გასვლა აკრძალული აქვს და, თუ შეიძლება, მის მაგივრად მე ჩამოვალ. თუ მეც ვერ ჩამოვაღწიე, ე.ი. მეც დამიჭირეს-მეთქი.

მე წავედი მოსკოვში, მაგრამ ჰაველი გორბაჩოვს რომ შეხვდა, საყვედური უთხრა, 9 აპრილს ის ხალხი დაისაჯა და კიდევ მათ ლიდერებს სჯითო? მაშინ ზვიადს მოუხსნეს ქალაქიდან გაუსვლელობა. ამასობაში მე ჩავედი მოსკოვში და ველოდებოდი შეხვედრას. ჰაველმა ცოტა დააგვიანა, გორბაჩოვთან შეხვედრიდან უნდა მოსულიყო. ამ დროს გავიგონე, ბიჭო, არ გაგიკვირდესო. მოვიხედე, თვითონ ზვიადი იყო. ბუნებრივია, ძალიან გამიხარდა. ჰაველი რომ შემოვიდა, ზვიადი მასთან მივიდა. ზვიადს ჰაველთან პოლიტიკური ნაცნობობა ჰქონდა. პირადი ნაცნობობა არ ჰქონდა, მაგრამ ერთმანეთს პოლიტიკიდან იცნობდნენ – ზვიადი დაჭერილი რომ იყო, ჰაველი იქიდან პროტესტს გამოთქვამდა. ჰაველმა, რა თქმა უნდა, იცნო და დიდხანს ილაპარაკეს. ზვიადმა ჰაველი მეც გამაცნო. მქონდა ბედნიერება, მეც გამეცნო. ის სიმპათიური, ინტელიგენტური გარეგნობის კაცი იყო და თბილად გველაპარაკა.

***– თქვენ ესწრებოდით ჰაველისა და გამსახურდიას საუბარს და იცით რაზე ისაუბრეს?***

– დიახ, იქვე ვიყავი. ჯერ საერთოდ მოიკითხა ზვიადი, ჰკითხა, 9 აპრილის შემდეგ როგორ ხარო, მისი ჯანმრთელობა მოიკითხა. ძირითადად ანტიკომუნისტური საუბარი იყო, რომ ბოროტების ეს იმპერია...

***– უნდა დაინგრესო...***

– პირდაპირ არ ამბობდნენ, იმპერია უნდა დაინგრესო, თავი უნდა დავაღწიოთო. ჩვენ ვართ დატყვევებულები, ძმები ვართ და ამ ტყვეობიდან უნდა გავთავისუფლდეთ და ამაში ერთმანეთს უნდა დავეხმაროთო. ძალიან დიდხანსაც ვერ ელაპარაკებოდა იმიტომ, რომ კიდევ 40 კაცი ელოდებოდა.

***– ანუ საუბარი იყო ერთმანეთის მხარდაჭერაზე?***

– დიახ. უფრო ჰაველის ჩვენდამი მხარდაჭერაზე იყო საუბარი, თორემ ჩვენ მაშინ ხელისუფლებაში ჯერ არ ვიყავით.

***– თვითონ ზვიად გამსახურდიას მაშინ ჰაველთან ერთად როგორ შეხვდნენ საბჭოთა ფუნქციონერები?***

– იქ ფუნქციონერი არავინ იყო, ძირითადად დისიდენტები იყვნენ. ჰაველმა შეხვედრა თავის საელჩოში მოგვიწყო, სადაც შეკრებილი იყვნენ ოპოზიციონერები და დისიდენტები.

***– ბატონო გიორგი, მოგეხსენებათ, სააკაშვილი ჰაველის გასვენებაზე იყო წასული...***

– ამ შემთხვევაში სააკაშვილი იმყოფებოდა, როგორც ოფიციალური პირი. ასეთ დროს პრეზიდენტები და პირველი პირები ჩადიან ხოლმე.

***– რაიმეს სწავლა შეუძლიათ სააკაშვილსა და მის ჯგუფს ჰაველისთანა პიროვნებების ცხოვრებიდან?***

– როგორც გითხარით, ჰაველის პოლიტიკური აზროვნების მთავარი არსი პოლიტიკის ზნეობრიობაა. რამდენად ზნეობრივია სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედებები, ხალხი განსჯის. ამას თუ ვერ ისწავლი, სხვა დანარჩენს როგორ შეითვისებ? არჩევნების გაყალბება ზნეობრივი არ არის. ადამიანის უფლებების დარღვევები, უსამართლო სასამართლო ზნეობრივი არ არის.

***– ე.ი. თქვენ ამ ხელისუფლების გამოსწორებას არ ელოდებით?***

– არა. არა. სავლე რომ პავლე გახდეს, ათას წელში ერთხელ ხდება, ისიც ღმერთის ნებაა საჭირო.

# თბილისის ცირკი იხსნება

ეკა ირემაშვილი

5-წლიანი პაუზის შემდეგ პატარებისთვის და არა მარტო პატარებისთვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილი – თბილისის ცირკი იხსნება. საახალწლო წარმოდგენები 5 იანვარს დაიწყება და 20 იანვარმდე გაგრძელდება. ცირკის მსახიობები მაყურებლისთვის დღეში ორ წარმოდგენას გამართავენ.

თბილისის განახლებულ ცირკში მისულ მოსახლეობას ქართველი და უცხოელი მსახიობების მონაწილეობით, საახალწლო ღონისძიებები ელოდება. ცირკში ბავშვების მისაღებად უკვე ყველაფერი მზადაა. მსახიობები, ჟონგლიორები და აკრობატები ბოლო რეპეტიციებს გადიან.

თბილისის ცირკის ისტორია საკმაოდ საინტერესოა – გასული საუკუნის 60-70-იან წლებში თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული რუსი მსახიობები წარმოდგენებს ატარებდნენ დროებით ფიცრულ ნაგებობებში, რომლებიც მდებარეობდა მარჯანიშვილის მოედანზე, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე. ამავე საუკუნის 90-იან წლებში ძმებმა ნიკიტინებმა გოლოვინსკის პროსპექტზე, ამჟამინდელ რუსთაველის პროსპექტზე ააშენეს ცირკის შენობა, რომელიც XX საუკუნის ათიან წლებში დაიწვა. მოგვიანებით ძმები ეფიმოვების მიერ სანაპიროზე აშენდა ცირკის ახალი შენობა. ესიკოვსკიმ მეორე ცირკი ელბაქიძის დაღმართზე ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე ააშენა. 1917 წლის აგვისტოში ორივე ცირკის არტისტები გაერთიანდნენ, ჩამოაყალიბეს ამხანაგური საზოგადოება და დააფუძნეს „კავკასიის განყოფილება“. გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს თბილისის ორივე ცირკი გადაყვანილ იქნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ცირკების გაერთიანების დაქვემდებარებაში. ამავე პერიოდში დაიწყო ახალი კაპიტალური ცირკის მშენებლობა, რომელიც 9 წლის განმავლობაში შენდებოდა. ერთი წლის



შემდეგ კი სტაციონალური ცირკის შენობამ ფუნქციონირება დაიწყო. იმ დროისათვის თბილისის ცირკი ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ცირკად თავისი ადგილმდებარეობით, აღჭურვილობით, ტექნიკით, როგორც საბჭოთა კავშირის ქვეყნების ცირკთა შორის, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

თბილისის ცირკის არსებობის მანძილზე იყო სხვადასხვა ხანგრძლივობის შემოქმედებითი პაუზები, სულ ბოლოს ცირკს წარმოდგენები 5 წელი აღარ გაუმართავს. ცირკის მფლობელი აწ გარდაცვლილი ქართველი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი იყო, რომელმაც ეს შენობა 2003 წელს იყიდა. ის ოთხი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა, 2007 წელს კი ცირკი დალუქეს. მას შემდეგ დღემდე წარმოდგენები აღარ გამართულა.

გასული წლის ბოლოს ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თბილისის ცირკი წარმოდგენებს 2012 წლის დასაწყისისთვის განაახლებდა. 2010 წლის 1 თებერვალს გიბრალტარის სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმად, გიბრალტარის ტრასტების 100 პროცენტი და თბილისის ცირკი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს გადაეცა. როგორც ცნობილია, პატარკაციშვილების ოჯახსა და სახელმწიფოს შორის მიმდინარე რამდენიმეწლიანი დავა საბოლოოდ მორიგებით დასრულდა. დავის დროს ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი აცხადებდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პატარკაციშვილებს „ის დაუბრუნა, რაც დასაბრუნებელი იყო“, თუმცა ობიექტების ნუსხის დასახელებისგან თავს იკავებდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ თბილისის ცირკი პატარკაციშვილების ოჯახს გადაეცა. მაშინ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა კატეგორიულად უარყო მედიით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ოჯახი ცირკის გაყიდვასა და მის ადგილზე მეჩეთის აშენებას აპირებდა.

ცირკის ახალი სეზონის საზეიმო გახსნამდე შენობას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა, შეიცვალა საკომუნიკაციო სისტემა, დამონტაჟდა სრულიად ახალი განათებისა და გახმოვანების აპარატურა. განახლებული ცირკის შენობა მის საზეიმო გახსნამდე თბილისის მერმა გიგი უგულავამ მოინახულა.

– თბილისის ცირკი უნდა იყოს ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი ადგილი ჩვენს ქალაქში. ასევე აქაურობა უნდა იყოს ბავშვებისთვის საყვარელი ადგილი, იმიტომ რომ ვიცი, ეს სიახლე ძალიან ბევრ პატარას გაახარებს. ეს შენობა კომპლექსურად გარემონტდა. ცირკში უკვე დამონტაჟდა ძვირადღირებული განათება და გახმოვანება. როგორც ხელმძღვანელობა აცხადებს, საცირკო წარმოდგენების გარდა, ამ შენობაში სხვა შოუებიც გაიმართება, – აღნიშნა გიგი უგულავამ.




საცირკო წარმოდგენებში მონაწილე მსახიობებისა და აკრობატების შესარჩევად ქასთინგი უკვე ჩატარდა და ძირითადი ბირთვიც შერჩეულია. ცირკის ხელმძღვანელობის სურვილია, ცირკმა მაქსიმალური დატვირთვით იმუშაოს და რაც შეიძლება მეტ პატარას გაუხალისოს საახალწლო განწყობილება.

განახლებულ ცირკში საახალწლო წარმოდგენები 2 საათსა და 15 წუთს გრძელდება. მასში ქართველი და უცხოელი ჯამბაზები და ილუზიონისტებიც იქნებიან ჩართული. საცირკო წარმოდგენებზე დასასწრები ბილეთის ფასი 8-დან 15 ლარამდეა, ბილეთების გაყიდვა ცირკის სალაროში უკვე დაწყებულია.

# ვინ წარგვადგენს ევროვიზია 2012-ზე?

ეკა ირემაშვილი

ვინ წარგვადგენს ევროვიზია 2012-ზე? ამის გასარკვევად საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსი გამოაცხადა. ევროვიზიაზე კონკურსანტების წარდგენის უფლება ევროფესტივალის მონაწილე ქვეყნების საზოგადოებრივ მაუწყებლებს აქვთ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი 2004 წლიდან ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრია, ამიტო მაუწყებელი საქართველოდან კონკურსანტის წარდგენის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს.

საქართველომ ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობა პირველად 2007 წელს მიიღო, როდესაც სოფო ხალვაშმა მე-12 ადგილი დაიმსახურა. შემდგომ წელს ქვეყანა ევროფესტივალზე დიანა ღურწკაიამ წარადგინა, 2009 წელს საქართველოს შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული ჯგუფი „სტეფანე და 3ჯი“ გახდა, თუმცა მოგვიანებით, ქართულმა მხარემ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. 2010 წელს 55-ე ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელმა სოფო ნიჟარაძემ მეცხრე ადგილი დაიკავა. გასულ წელს კი ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა „ელდრაინი“ მეცხრე ადგილი დაიკავა. წელს რიგით 57-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსს აზერბაიჯანი მასპინძლობს, რადგან გასულ წელს გამარჯვება სწორედ აზეიბაიჯანის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი ევროვიზია მაისის თვეში ჩატარდება, ევროპის სიმღერის კონკურსისთვის მზადება გრძელდება. ევროპა გრანდიოზული სანახაობის მოლოდინშია. რიგით 57-ე ევროფესტივალთან დაკავშირებით, ევროპის მაუწყებელთა კავშირისა და მასპინძელი მაუწყებლის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა 14-15 დეკემბერს გაიმართა. შეხვედრაზე კონკურსის ჩატარების წესის, პირობების, მასმედიის წარმომადგენლების დასწრების, ფანკლუბების, უსაფრთხოებისა და სხვა საკითხებზე ისაუბრეს, – ინფორმაცია ამის შესახებ ევროვიზიის ოფიციალურ საიტზე განთავსდა.

– ევროფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ევროპული სატელევიზიო კონკურსია, რომელიც პირდაპირი ეთერით ევროვიზიის სატელიტური ქსელის მეშვეობით გადაიცემა. გრანდიოზულ სანახაობას მსოფლიოს მასშტაბით 125 მილიონზე მეტი მაყურებელი ადევნებს თვალს. კონკურსს შემეცნებით-გასართობ დატვირთვასთან ერთად, ევროპის მთლიანობის იდეა უდევს საფუძვლად. კონკურსის შექმნის იდეა 1955 წელს ევროპის სამაუწყებლო კავშირის მონაკოს შეხვედრაზე გაჩნდა, იტალიის სან-რემოს მუსიკის ფესტივალი კი კონკურსის მოდელად იქცა. იდეის ავტორი ფრანგი წარმომადგენელი მარსელ ბაისონი კონკურსის მიზნად გახლეჩილი ევროპის ცივი ომის აგონიიდან გამოყვანას, ევროპის გაერთიანების ხელშეწყობას ასახელებს. ევროვიზიის სიმღერის კონკურსი პირველად 1956 წლის 24 მაისს შვეიცარიაში, ქალაქ ლუგანოში ჩატარდა და მასში მხოლოდ 7 ქვეყანა მინაწილეობდა. კონკურსის პირველივე წელს გამარჯვებული შვეიცარიის წარმომადგენელი ლიზ ასია გახდა, – განაცხადა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელმა ნათია უზნაძემ.

2012 წლის ევროფესტივალთან დაკავშირებით პირველი დიდი ხმაური 59 წლის ამერიკელი მსახიობისა და მომღერლის დევიდ ჰაზელჰოფის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც წლევანდელ ევროფესტივალზე მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. მედიასაშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვარსკვლავი აპირებს ევროვიზიის კონკურსზე ჰოლანდია წარადგინოს. ის სცენაზე ერთ-ერთი ქალი ვოკალისტის თანხლებით გამოსვლას გეგმავს, ხოლო საკონკურსო სიმღერის ავტორად ნიალ მუნეი მოიაზრება. ინფორმაციას 2012 წლის ევროფესტივალზე დევიდ ჰაზელჰოფის შესაძლო მონაწილეობას შესახებ, დასავლურ პრესასა და სოციალურ ქსელში – ტვიტერი დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ამერიკელი ხელოვანი და დათანხმდება თუ არა ჰოლანდია მის წინადადებას, უახლოეს მომავალში გაირკვევა.

რიგით 57-ე ევროფესტივალთან დაკავშირებით, გახმაურდა ინფორმაციაც, რომ შესაძლოა გოგონათა ბენდი „სპაის გელზ“ წლევანდელ ევროფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად გაერთიანდეს. ინიციატივა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს ჯერი ჰოლიველს ეკუთვნის, პუბლიკაციები ამის შესახებ, დასავლურ პრესაში უკვე გავრცელდა. ინფორმაციას 2012 წლის ევროფესტივალზე ჯგუფის „სპაის გელზის“ შესაძლო მონაწილეობას შესახებ, სოციალურ ქსელებში ასევე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბრიტანული ბენდი „სპაის გელზ“ 1994 წელს შეიქმნა და მძელ ევროპაში პოპულარობა მოიპოვა. ჯგუფი ალბომების გაყიდვების რაოდენობით (23 მილიონი ეგზემპლიარი) მუსიკის ისტორიაში ქალთა ბენდებს შორის პირველ ადგილზეა. გასულ წელს ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ჯგუფმა „ბლუ“ მეთერთმეტე ადგილი დაიკავა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შიდაშესარჩევი კონკურსისთვის წარმომადგენელთა შერჩევა ჯერ არც კი დაწყებულა, ევროვიზიაში მონაწილე სხვა ქვეყნებმა თავიანთი კონკურსანტები უკვე გამოავლინეს და აზერბაჯანში მაისში დაგეგმილ გრანდიოზულ გალაკონცერტს ელოდებიან.

2012 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე ალბანეთის წარმომადგენლის ვინაობა ფესტივალის შედეგად, გაირკვა – გამარჯვებული რონა ნიშლიუ გახდა. ფესტივალის ფინალისტი 20 კონკურსანტს შორის გამოვლინდა. რონა ნიშლიუ კოსოვოელია. ევროფესტივალის ისტორიაში ალბანეთს კოსოვოელი მომღერალი პირველად წარადგენს. ესპანეთის მაუწყებელმა გაახმოვანა, რომ ქვეყანას რიგით 57-ე ევროფესტივალზე ცნობილი მომღერალი პასტორა სოლერი წარადგენს. საკონკურსო სიმღერა კი ნაციონალური კონკურსის შედეგად, თებერვლის შუა რიცხვებში გამოვლინდება. პასტორა სოლერი ბავშვობიდან მღერის. მისმა პირველმა ალბომმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. ის არაერთი ჯილდოს მფლობელია და წარმატებულია როგორც ესპანეთში, ასევე ქვეყნის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
ილუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● დავიქირავებ ძროხების (18 სული) მომვლელს, გლდანის ციხიდან 7-8 კმ, ხელსაყრელ პირობებში. ტელ.: 591-40-91-31.

## განცხადებები

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ქართული კლუბების სამზადისი დაიწყო

ბოლნისის „სიონი“, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს ბრძოლა, სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება უკვე დაიწყო. თუმცა, საქმეში ჯერ მხოლოდ ადგილობრივი კადრები ჩაერთვნენ. ბოლნისური კლუბის ახალი შემადგენლობა ჯერ არ გარკვეულა, მაგრამ, როგორც კლუბიდან შეგვატყობინეს, ცვლილებები აუცილებლად იქნება, თანაც მრავლად.

რამდენიმე დღის წინ „სიონი“ სამართავად ბოლნისის მუნიციპალიტეტს გადაეცა, რომელსაც დიდი გეგმები აქვს – „სიონი“ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლიდან ამბიციურ გუნდად უნდა გადაიქცეს და საამისო ნაბიჯების გადადგმას ახლავე აპირებს.

მუნიციპალიტეტმა სეზონის დარჩენილი ნახევრისთვის „სიონის“ ბიუჯეტად ნახევარი მილიონი ლარი განსაზღვრა, რაც სრულყოფილ მოსამზადებელ პროცესსაც უნდა ეყოს, ძლიერი ფეხბურთელების დამატებასაც და მათ ფინანსურ უზრუნველყოფასაც.

ვნახოთ, როგორ წარიმართება „სიონის“ გაძლიერების პროცესი. როგორც გვითხრეს, რამდენიმე დღეში ახალწვეულთა ვინაობაც უნდა გაირკვეს და ის გუნდებიც, ვისთანაც ბოლნისელები სპარინგებს გამართავენ.

ბოლნისური კლუბიდან წასულმა სამმა ფეხბურთელმა, ვალერი ბოლქვაძემ, გიორგი რეხვიაშვილმა და გიორგი ქუცურუამ კი როგორც მოსალოდნელი იყო ქუთაისის „ტორპედოსთან“ გააფორმა კონტრაქტი. სამივე მათგანი იმერულ კლუბში 5 წლით ითამაშებს.

„ტორპედო“ თებერვალში შეკრებაზე ანთალიაში გაემგზავრება და უკვე ცნობილია ერთი მეტოქე, რომელსაც იქ შეხვდება – ჩეხური „ბანიკი“.

ოსტრავის „ბანიკი“ ჩეხეთის გამბრინუს ლიგაში 16 გუნდს შორის მე-14 ადგილზეა. სხვათა შორის, ამ გუნდში თამაშობს ცნობილი ჩეხი მცველი მარეკ იანკულოვსკი, რომელმაც თითქმის მთელი კარიერა სერია ა-ში გაატარა და მათ შორის, 6 წელი „მილანში“, სადაც კახა კალაძის გვერდით გამოდიოდა.

დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი ზუგდიდის „ბაიაში“. ადრეც ვწერდით, რომ „ბაია“ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და ამ კლუბიდან შევსება „ზესტაფონმა“ და „ტორპედომ“ მიიღო. ახლა კი გუნდს ყვლასთვის მოულოდნელად მწვრთნელი, ელგუჯა ქომეთიანი გამოეთხოვა და მის ნაცვლად გოჩა ტყებუჩავა დაინიშნა, რომელიც ამჟამად საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრებს წვრთნის.

ქომეთიანმა „ბაიას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ორი წელიწადი გაატარა. მისი ხელმძღვანელობით ზუგდიდელებმა 2009-10 წლების სეზონი მე-8- ადგილზე დაასრულეს, წინა ჩემპიონატში მე-6 ადგილი დაიკავეს და მე-6-ზე არიან უმაღლესი ლიგის მიმდინარე გათამაშებაშიც, რაც ახალგაზრდული შემადგენლობით ურიგო შედეგი სულაც არ არის.

„ბაია“ კაპიტანმა გიორგი სომხიშვილმაც დატოვა. 31 წლის მეკარე გუნდს ჩემპიონატის დაწყებისას შეუერთდა, სეზონისთვის სათანადოდ მომზადება ვერ მოახერხა, თუმცა ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი ჩინებულად ჩაატარა.

სომხიშვილი „ბაიას“ ნამდვილი ლიდერი იყო, მოედანზე მწვრთნელს თანაშემწეობას უწევდა და თუ „ბაიას“ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსი აქვს, ამაში მისი დამსახურებაცაა.

ცხინვალის „სპარტაკი“ ახალ, 2012 წელს ნამატით შეხვდა. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელებისა და კლუბის ხელმძღვანელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით 9 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენეს.

ნიკა დაუშვილის, ფრიდოლინ ბოიომოს, გიორგი ციმაკურიძის, გიორგი სეფიაშვილის, გიორგი ალავიძის, გაგა თიბილაშვილის, კობა შალამბერიძის, რეზო ჯიქიასა და ზვიად მეტრეველის ტრანსფერზე დაყენებისთანავე ოფიციალურად გაცხადდა, რომ ახალი ფეხბურთელების დასამატებლად მუშაობა უკვე დაწყებულია და პირველი შედეგიც უკვე სახეზეა. „სპარტაკს“ უკვე სამი ახალწვეული ჰყავს და სამივე თბილისის „დინამოდან“.

კლუბის პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი, კლუბის იურისტთან და ლიცენზირების მენეჯერ გიორგი ალდგომელაძესთან ერთად, დიღმის მასივში მდებარე, თბილისის „დინამოს“ ახლადგარემონტებულ ბაზას ეწვია.

„სპარტაკის“ ხელმძღვანელებს საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამოს“ სპორტულმა დირექტორმა გიორგი ნემსაძემ და გუნდის უფროსმა გია იმნაძემ, ბაზის დირექტორმა ვიტალი გულორდავამ უმასპინძლეს. მათ სტუმრებს ბაზის სავარჯიშო, საცხოვრებელი კომპლექსი და სხვა სექტორები დაათვალიერებინეს, შემდეგ კი ახალი ფეხბურთელების თაობაზე დაწყებული მოლაპარაკებები კონტრაქტზე ხელმოწერით დაგვირგვინდა.

მეკარე გიორგი ნადირაძე და თავდამსხმელები, კონსტანტინე გაბაშვილი და ლაშა ჩაფიძე უკვე სპარტაკელები არიან. გიორგი ნადირაძემ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 2013 წლის 1 იანვრამდე „სპარტაკის“ უფლებებშია, კონსტანტინე გაბაშვილი და ლაშა ჩაფიძე კი იჯარის წესით მიმდინარე სეზონის დასრულებამდე, 2012 წლის 1 ივნისამდე „სპარტაკში“ ირიცხებიან.

დაბოლოს, მიმდინარე სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება ცხინვალის „სპარტაკმა“ გუშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გვერდით მდებარე „საბურთალოს“ სტადიონზე განაახლა.

„ზესტაფონი“ სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 10 იანვრიდან შეუდგება, 8-სა და 9-ში კი ფეხბურთელთა სამედიცინო შემოწმება ჩატარდება.

გეგმის მიხედვით, საქართველოს მოქმედმა ჩემპიონებმა შეკრების პირველი ეტაპი ზესტაფონში უნდა გაიარონ და აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთონ. თუმცა, უამინდობის შემთხვევაში გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი თურქეთში გაემგზავრება.

იქიდან გამომდინარე, რომ გუშინ ზესტაფონში ძლიერად თოვდა, არ არის გამორიცხული, ადგილზე სრულფასოვანი საწვრთნელი პროცესის წარმართვა ვერ მოხერხდეს და ანთალიაში გამგზავრება გახდეს აუცილებელი.

მთავარი შეკრება კი ესპანეთშია დაგეგმილი, სადაც, შეგახსენებთ, ფეროელები პრესტიჟულ „მარბელას თასზე“ იასპარეზებენ.

ტურნირის წილისყრა ჯერაც არ გამართულა, თუმცა უკვე ცნობილია, რომ გათამაშება პლეი ოფის სისტემით გაიმართება, მაგრამ ყველა გუნდი სამ მატჩს ჩაატარებს. სათამაშო დღეებია 3, 6 და 9 თებერვალი, „ზესტაფონის“ გარდა კი ტურნირში მონაწილეობენ: „დინამო“ (კიევი, უკრაინა), ცსკა (მოსკოვი, რუსეთი), „რუბინი“ (ყაზანი, რუსეთი), „კრილია სოვეტოვი“ (სამარა, რუსეთი), „რაპიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი), „ლეხი“ (პოზნანი, პოლონეთი), „გუანჯოუ“ (გუანჯოუ, ჩინეთი).

„ზესტაფონის“ შემადგენლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე უკვე არაერთხელ გაუწყეთ, ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჯერაც უცნობია, სად გააგრძელებენ კარიერას კლუბიდან წასულები – ნიკა გელაშვილი და ირაკლი ძარია.

# ირბ ქართულ რაგბის შეეხო

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ)ვებ გვერდზე გამოქვეყნდა წერილი, რომელსაც სათაურად „საქართველოს ამბიციური გეგმები 2015 წლისთვის“. წერილში სხვადასხვა თემებზეა საუბარი, ჩვენ მხოლოდ იმას შემოგთავაზებთ, რომელიც ქართულ რაგბის ეხება.



– 2011 წლის მსოფლიოს თასის შედეგებმა და ანალიზმა გვიჩვენა, რომ რაგბის მეორე დონის ქვეყნები აშკარა პროგრესს განიცდიან. მოსალოდნელია, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასისთვის ისინი კიდევ უფრო მოუმატებენ და, ვფიქრობთ, რომ ინგლისში ბობოლებს დიდ პრობლემებს შეუქმნიან. ამაში დარწმუნებულია საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძეც. საქართველომ მსოფლიოს თასზე მიზნად დაისახა ჯგუფურ ტურნირზე რუმინეთის დამარცხება და არგენტინისა და შოტლანდიის ნაკრებებთან ღირსეულად თამაში. ეს მიზანი მიღწეულია. ახლა ამბიციურ ქართველებს ერთი გამარჯვება აღარ აკმაყოფილებთ და მომდევნო მსოფლიოს თასის გათამაშებაში მეოთხედფინალს უმიზნებენ. მათი ეს მისწრაფება, ვფიქრობთ, რეალისტურია.

– იმედი მაქვს, რომ მომდევნო ოთწლიანი ციკლის ბოლოს ჩვენ ძალიან ბევრს გავაოცებთ. ჩვენი მიზანი ნათელია. გვინდა პირველი დონის გუნდებს შორის დავიმკვიდროთ ადგილი. ჩვენ გვაქვს პოტენციალი, სრული მხარდაჭერაა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან. ასე რომ, ახლა სარაგბო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ვზრუნავთ – ამბობს ნიჟარაძე.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში სარაგბო სტადიონების აშენება იგულისხმება, რომელსაც ქართველები იმ მიწაზე აშენებენ, სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ რომ მიიღო. ეს მოედნები შიდა ჩემპიონატის დონეს აამაღლებს. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ქართველ მორაგბეთა უმრავლესობა საფრანგეთის გუნდებში თამაშობს, საქართველოს რაგბის კავშირში ამაყობენ იმით, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასზე ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ცხრა მორაგბე ირიცხებოდა.

თუმცა, ნიჟარაძეს მიაჩნია, რომ უცხოეთში მოთამაშეების გადინებას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე პრობლემები:

– საფრანგეთში ჩვენი მორაგბეების თამაში მათთვის შესანიშნავი შესაძლებლობაა იასპარეზონ მაღალი დონის რაგბიში. იქ ახლა გარკვეული პრობლემები გვექმნება, მაგრამ ჩვენ ვეძებთ ალტერნატივას. იმედი გვაქვს, რომ ერთ-ერთი იქნება დიდი ბრიტანეთი. ორმა ქართველმა მორაგბემ უკვე ითამაშა ინგლისური „გლოსტერის“ სათადარიგო გუნდში. წლეულს კი, ინგლისში კიდევ ხუთ ახალგაზრდა მორაგბეს გავაგზავნით, ამბობს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი.

საქართველოს ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონებში გუნდების და შესაბამისად მოთამაშეების რაოდენობის ზრდა ქართული რაგბისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ოთხი წლის წინათ ოფიციალურად დარეგისტრირებული იყო 2 600 მორაგბე, დღეისთვის მათი რიცხვი გაორმაგდა და 5 289-ს მიაღწია. ნიჟარაძეს მიაჩნია, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი ექვს-შვიდ წელიწადში ეს რიცხვი 30 000-მდე გაიზარდოს.

– მოთამაშეების რაოდენობის ზრდა თავისთავად ვერ გადაწყვეტს პრობლემას. შეიძლება გუნდებისა და მოთამაშეების რაოდენობა გაზარდო, მაგრამ, მთავარია, მათი ხარისხი ამაღლდეს. ამის გარეშე არაფერი გამოვა, – დასძინა ნიჟარაძემ.

ამიტომაც საქართველოს რაგბის კავშირში სერიოზულად მუშაობენ უცხოელი სპეციალისტების მიწვევაზე. რიჩი დიქსონი, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იყო, ახლა რაგბის კავშირის კონსულტანტია. მის გარდა ასევე იმუშავებენ მწვრთნელები ახალი ზელანდიიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

– ჩვენ მოვიწვიეთ უცხოელი სპეციალისტები საიმისოდ, რომ განათლებაში მოგვეხმარონ. ისინი არა მარტო ეროვნულ გუნდთან იმუშავებენ, არამედ დაგვეხმარებიან ჩვენი სარაგბო აკადემიის განვითარებაში, მისი მუშაობის დახვეწაში, რაც ჩვენთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, – ასეთია ნიჭარაძის სამომავლო ხედვა.

გიორგი ნიჟარაძისა და მისი გუნდის დამსახურების შეუფასებლობა არ იქნება სწორი. საქართველოს რაგბის კავშირში ორმოცამდე თანამშრომელია. მართალია, მათი საქმიანობა ისეთი მყვირალა არ არის, როგორიც ინგლისის და ავსტრალიის რაგბის კავშირების, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიჟარაძის წვლილი რაგბის განვითარების საქმეში უფრო მეტია, ვიდრე მისი „ბობოლა“ კოლეგების.

– ეს სამუშაო, უდიდესი პასუხისმგებლობაა. გაცილებით რთულია იყო მეორე დონის ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტი, ვიდრე პირველი დონის ქვეყნის რაგბის ხელმძღვანელი. ეს არის სამუშაო დღე-ღამეში 24 საათი, შვიდი დღე კვირაში, ყოველგვარი უქმეების გარეშე. თუ გინდათ რაიმე შედეგს მიაღწიო, სწორედ ამ რეჟიმში უნდა იმუშაო. მაგრამ ეს ჩვენი არჩევანია. ეს იმიტომ ავირჩიეთ, რომ რაგბი გვიყვარს. ის ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ნებისმიერი, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონია შეხება რაგბისთან, სამუდამოდ იქ რჩება, – დაასკვნა ნიჟარაძემ.

ერთი სიტყვით, ყოველივე ეს ღირს იმად, რომ მეორე დონის სარაგბო ქვეყნები ელიტურს დაუახლოვდნენ. საამისოდ კი აუცილებელია, რომ ამ გუნდებმა ერთმანეთან ხშირად ითამაშონ. თებერვალში ამერიკაში გაიმართება მეორე დონის სარაგბო ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრა, სადაც სავარაუდოდ, ახალი ტურნირის ორგანიზებაზე შეთანხმდებიან და ის 2013 წელს გაიმართება.

ეს ცხადია, ამ ქვეყნების სათამაშო დონის ამაღლებას განუხრელად ხელს შეუწყობს. გიორგი ნიჟარაძეს მტკიცედ სჯერა, რომ საქართველოსა და სხვა მეორე დონის ქვეყნების გუნდებს, შეუძლიათ ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასი საუკეთესოდ აქციონ.

– ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშება სრულიად სხვანაირი იქნება, არა მარტო სათამაშო დონით, არამედ სხვა დანარჩენითაც. ეს იქნება მსოფლიოს უდიდესი ჩემპიონატი. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, – თქვა გიორგი ნიჟარაძემ.

# დაუშვილი 4 წლით კარპატიში

საქართველოს ნაკრებისა და „ზესტაფონის“ ნახევარმცველმა მურთაზ დაუშვილმა, ლვოვის „კარპატისთან“ კონტრაქტს ხელი მოაწერა და შედეგად, 22 წლის ფეხბურთელი უკრაინულ კლუბს 4 წლით დაუკავშირდა.



შეგახსენებთ, რომ დაუშვილმა 2010-2011 წლების სეზონში „ზესტაფონთან“ ერთად საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, რომლის შემადგენლობაში სულ 75 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. საქართველოს ნაკრების მაისური კი დაუშვილმა 11-ჯერ მოირგო.

დაუშვილს ფეროელებთან კონტრაქტი 2011 წლის ბოლომდე აკავშირებდა, თუმცა ფეხბურთელი ლვოვურ კლუბს ტრანსფერთან დაკავშირებით რამდენიმე თვით ადრე შეუთანხმდა, რის გამოც ზესტაფონური კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაურთულდა. ამის გამო ბუბამ ბოლო პერიოდი „ზესტაფონის“ დუბლშემადგენლობაში გაატარა.

სავარაუდოდ, თავად ზესტაფონური კლუბი აპირებს „კარპატის“ ფიფაში უჩივლოს.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1:0 |
| უიგანი-სანდერლენდი | 1:4 |
| სიტი-ლივერპული | 3:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 20 | 15 | 3 | 2 | 56:16 | 48 |
| 2.მანჩესტერი | 19 | 14 | 3 | 2 | 49:17 | 45 |
| 3.ტოტენჰემი | 19 | 13 | 3 | 3 | 36:20 | 42 |
| 4.ჩელსი | 20 | 11 | 4 | 5 | 39:25 | 37 |
| 5.არსენალი | 20 | 11 | 3 | 6 | 36:28 | 36 |
| 6.ლივერპული | 20 | 9 | 7 | 4 | 24:18 | 34 |
| 7.ნიუკასლი | 19 | 8 | 6 | 5 | 26:25 | 30 |
| 8.სტოკი | 20 | 8 | 5 | 7 | 22:31 | 29 |
| 9.ნორვიჩი | 20 | 6 | 7 | 7 | 30:35 | 25 |
| 10.სანდერლენ. | 20 | 6 | 6 | 8 | 27:23 | 24 |
| 11.ევერტონი | 18 | 7 | 3 | 8 | 19:20 | 24 |
| 12.სუონსი | 20 | 5 | 8 | 7 | 20:23 | 23 |
| 13.ფულემი | 20 | 5 | 8 | 7 | 22:26 | 23 |
| 14.ას.ვილა | 20 | 5 | 8 | 7 | 22:26 | 23 |
| 15.ვ.ბრომვიჩი | 20 | 6 | 4 | 10 | 19:28 | 22 |
| 16.ვულვზი | 20 | 4 | 5 | 11 | 22:36 | 17 |
| 17.ქპრ | 20 | 4 | 5 | 11 | 19:35 | 17 |
| 18.უიგანი | 20 | 3 | 6 | 11 | 18:41 | 15 |
| 19.ბლექბერნი | 20 | 3 | 5 | 12 | 29:43 | 14 |
| 20.ბოლტონი | 19 | 4 | 1 | 14 | 23:42 | 13 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-მილუოლი | 1:0 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

| | |
|---|---|
| ალბასეტე-ბილბაო | 0:0 |
| ალკორკონი-ლევანტე | 2:1 |
| მირანდესი-რასინგი | 2:0 |
| რეალი-მალაგა | 3:2 |

**პორტუგალია. თასი**

| | |
|---|---|
| პორტიმორენსე-პენაფიელი | 0:1 |
| ნასიონალი-ბრაგა | 1:2 |
| გიმარაეში-ბენფიკა | 1:4 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-ასტერასი | 2:0 |
| იანინა-ოფი | 0:0 |
| აეკი-დოჰა | 0:0 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ქაისერი-ბურსა | 0:2 |
| სივასი-ქარაბუქი | 3:0 |
| ტრაბზონი-მანისა | 2:1 |
| გალათასარაი-ისთანბული | 4:1 |
| მერსინი-ანკარაგიუჯიუ | 1:2 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კლივლენდი-შარლოტი | 115:101 |
| მემფისი-საკრამენტო | 113:96 |
| ოკლაჰომა-პორტლენდი | 93:103 |
| ჩიკაგო-ატლანტა | 76:74 |
| *ზაზა ფაჩულია: 1 მოხსნა* | |
| იუტა-მილუოკი | 85:73 |
| ლეიკერსი-ჰიუსტონი | 108:99 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბრისბენი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| სიმონი-დაკვორტი | 6:3;7:5 |
| შტეპანეკი-ნიემინენი | 7:6;6:2 |
| პეტშტნერი-ჰირალდო | 4:6;4:6 |
| დოლგოპოლოვი-ანდრეევი | 6:7;7:6;6:2 |
| ბაგდატისი-ნიშიკორი | 6:3;6:4 |
| ტომიჩი-იტო | 6:1;6:2 |

**ატპ. დოჰა. ჰარდი**

| | |
|---|---|
| იუჟნი-გულბისი | 6:4;6:7;6:2 |
| ნადალი-კოლშრაიბერი | 6:3;6:7;6:3 |
| ფედერერი-დავიდენკო | 6:2;6:2 |
| მონფილსი-მაშადუ | 7:5;6:3 |

**ვტა. ბრისბენი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| პავლუჩენკოვა-კანეპი | 0:6;3:6 |
| სტოსური-ბენეშოვა | 4:6;2:6 |
| იანკოვიჩი-ბრატჩიკოვა | 6:3;6:2 |
| უილიამსი!ს.-იოვანოვსკი | 6:2;6:4 |

**ვტა. ოკლენდი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ვინჩი-ვესნინა | 3:6;4:6 |
| ლისიცკი-ბარტელი | 7:6;3:6;6:3 |
| პენეტა-ბალტაჩა | 6:4;6:2 |
| გერგესი-კერბერი | 2:6;3:6 |
| პენი-ჰრადეცკა | 4:6;3:6 |
| ნიკულესკუ-ჩჟენი | 0:6;2:6 |
| კუზნეცოვა-მაკჰეილი | 6:1;6:1 |
| ვიკმაიერი-ერანი | 6:4;1:6;1:6 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-ედმონტონი | 4:3 |
| ვაშინგტონი-კალგარი | 3:1 |
| კაროლინა-აილენდერსი | 3:3(0:1ბ) |
| ტორონტო-ტამპა ბეი | 7:3 |
| დალასი-დეტროიტი | 4:5 |
| სენტ ლუისი-ფინიქსი | 4:1 |

# „ატლანტას“ „ჩიკაგო“ ბოლო წამზე გადაურჩა

სულ ცოტა დააკლდა „ატლანტა ჰოუქსს“, ზედიზედ მეორე ხმაურიანი გამარჯვება მოეპოვებინა. ზაზა ფაჩულიას გუნდი სტუმრად შეხვდა გასული სეზონის რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულ „ჩიკაგოს“ და თამაშის ერთ ეპიზოდში 19 ქულითაც უგებდა, თუმცა ბოლო წამებზე, დრამატულ ბრძოლაში 2 ქულის სხვაობით – 74:76 დამარცხდა.

გადამწყვეტი გამოდგა ლუოლ დენგის მატჩის ბოლოსწინა წამზე ჩაგდებული ორქულიანი. როცა ყველა ელოდა, რომ გადამწყვეტ სროლას ჩიკაგოელთა ლიდერი დერიკ როუზი შეასრულებდა, ბურთი დენგმა მოიხელთა და გამარჯვების ორქულინი მიითვალა.

ქართველი ცენტრი მოედანზე მხოლოდ 7,43 წუთით გამოჩნდა და მის ანგარიშზე მხოლოდ თითო მოხსნა-დაფარება დაგროვდა. ფაჩულიამ სამივე ორქულიანი აცილა და ბურთი ერთხელ დაკარგა. ატლანტელებს 4 მოგების წილ მეორე მარცხი შეემთხვათ და აღმოსავლეთ კონფერენციის ცხრილში მე-5 ადგილზე დაეშვნენ. მომდევნო მატჩს „ქორები“ 6 იანვარს, გამთენიისას, „მაიამისთან“ შინ ითამაშებენ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

2012, 5 იანვარი, №3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ წარგვადგენს ევროვიზია 2012-ზე?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

საზღვრებს გარეთაც. მან საუკეთესო ფლამინგო ალბომისთვის გამარჯვება დაიმსახურა. მთლიანობაში პასტორა სოლერის გამოშვებული აქვს 10 ალბომი. წლევანდელი ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე ბოსნია ჰერცეგოვინას მაია სარი წარადგენს. საკონკურსო სიმღერა კი უახლოეს პერიოდში ჩაიწერება, – ეს ინფორმაცია ბოსნია ჰერცეგოვინის მაუწყებელმა გაახმოვანა. მაია სარი თავის ქვეყანაში ცნობილი მომღერალი, სიმღერების ავტორი და კომპოზიტორია. მან 56-ე ევროფესტივალზე გერმანიაში, დინო მერლინის ბენდთან ერთად იმღერა. ამ უკანასკნელმა 56-ე ევროფესტივალზე მეექვსე ადგილი დაიმსახურა. ბელგიის მაუწყებლის ცნობით, ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე ქვეყანას 16 წლის თინეიჯერი – ირისი (ლაურა ვან დენ ბრუელი) წარადგენს. საკონკურსო სიმღერა კი უახლოეს პერიოდში ჩაიწერება. ირისს უნიკალური ვოკალური შესაძლებლობები აქვს. მას სიმღერა ბავშვობიდან იტაცებდა. გოგონა გასულ წელს ტალანტების კონკურსის შედეგად, აღმოაჩინეს. მისი, როგორც მომღერლის კარიერა უფრო და უფრო წარმატებული ხდება. ირისის სიმღერა „ვანდერფულ" ბელგიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და რადიოსადგურების საუკეთესო ათეულებშიც ლიდერობას არავის უთმობს. საფრანგეთს წელს ინდონეზიური წარმოშობის მომღერალი ენგუნი წარადგენს, ინფორმაცია საფრანგეთის მაუწყებელმა უკვე გაახმოვანა. 37 წლის ენგუნი ჯაკარტაში, ინდონეზიაში დაიბადა. მომღერლის ახალი ალბომი ცოტა ხნის წინ გამოვიდა. საფრანგეთი ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ხუთგზის გამარჯვებულია. გასული წლის ევროფესტივალზე საფრანგეთის წარმომადგენელმა ამურ ვასილიმ მეთხუთმეტე ადგილი დაიკავა. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის მაკედონიის მაუწყებელმა განაცხადა, რომ ქვეყანას რიგით 57– ე ევროფესტივალზე ცნობილი მომღერალი კელიოპ ბუკლე წარადგენს. საკონკურსო სიმღერა კი ნაციონალური კონკურსის შედეგად გამოვლინდება. კელიოპ ბუკლე ბალკანეთში პოპულარული მომღერალია, გამოშვებული აქვს 9 სოლო ალბომი. მონაწილეობდა 100-ზე მეტ კონცერტში. ეწევა სამსახიობო კარიერას, იტაცებს ბალეტი. სერბეთის წარმომადგენელი ევროფესტივალზე ბედს უკვე მეოთხედ ცდის. ამ ქვეყანას ზელიკო იოკსიმოვიჩი წარადგენს. მომღერალი საკონკურსო სიმღერას უახლოეს პერიოდში ჩაწერს. კლიპის პრემიერა სერბეთის მაუწყებლის ეთერში შედგება. ზელიკო იოკსიმოვიჩმა ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობა პირველად 2004 წელს მიიღო და მეორე ადგილი დაიმსახურა. ზელიკო იოკსიმოვიჩს ეკუთვნოდა სიმღერა, რომელიც 2006 წელს ათენის ევროფესტივალზე ბოსნია ჰერცეგოვინის წარმომადგენელ-




მა შეასრულა და მესამე ადგილი მოიპოვა. ორი წლის შემდეგ ბელგრადში გამართულ კონკურსზე, იოკსიმოვიჩის სიმღერა ელენა ტომაშევიჩმა შეასრულა და მეექვსე ადგილს დასჯერდა. რაც შეეხება შვეიცარიის წარმომადგენელს, ამ ქვეყანას დუეტი „სინპლას" წარადგენს. ეს დუეტი ნაციონალური ფინალის შედეგად, მაყურებელმა და ჟიურიმ ერთობლივად გამოავლინეს. მონტენეგროს წარმომადგენელი აზერბაიჯანში რემბო ამადეუსი იქნება. საკონკურსო სიმღერა კი უახლოეს მომავალში ჩაიწერება. მონტენეგრო 2012 წლის ევროფესტივალს რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, დაუბრუნდა. ქვეყანა ევროფესტივალზე ბოლოს 2009 წელს მოსკოვში მონაწილეობდა.

რუსეთის მაუწყებელმა 2012 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე ქვეყნის წარმომადგენლისა და საკონკურსო სიმღერის გამოსავლენად ეროვნული კონკურსი გამოაცხადა. შემოსული განაცხადებიდან საუკეთესო 25 კანდიდატი შეირჩევა. ნაციონალური ფინალი კი 26 თებერვალს შედგება. ნაციონალურ ფინალისტს რუსი ხალხი – სატელეფონო ზარებითა და ინტერნეტით ხმის მიცემის შედეგად და კომპეტენტური ჟიური ერთობლივად გამოავლენენ. ეროვნული ფინალისტი ქვეყანას 2012 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე ბაქოში წარადგენს. რუსეთის მაუწყებელი გამარჯვებულთან სამწლიან კონტრაქტსაც გააფორმებს. უკრაინის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2012 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე ქვეყნის წარმომადგენლისა და საკონკურსო სიმღერის გამოსავლენად ეროვნულ კონკურსი გამოაცხადა. ეროვნული ფინალი კი 10 თებერვალს გაიმართება, რომელშიც 20 კონკურსანტი მიიღებს მონაწილეობას, 19 მათგანს ჟიური შეარჩევს, ხოლო მე-20 ერთ-ერთი პროექტიდან შეირჩევა. გამარჯვებულს უკრაინელი ტელემაყურებელი სმს-ების საშუალებით და კომპეტენტური ჟიური ერთობლივად გამოავლენენ. უკრაინა ევროვიზიის სიმღერის კონკურსში 2003 წლიდან მონაწილეობს. უკრაინის წარმომადგენელი რუსლანა 2004 წელს ევროფესტივალის გამარჯვებული გახდა. უკრაინის წარმომადგენლებმა ვერკა სერდიუჩკამ და ანი ლორაკმა მეორე ადგილი დაიკავეს. გერმანია ნაციონალურ ფინალისტს რვა საკონკურსო შოუს შედეგად 16 თებერვალს გამოავლენს. გერმანიის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და რადიომაუწყებელმა 2012 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე გერმანიის წარმომადგენლისა და საკონკურსო სიმღერის გამოსავლენად შიდაშესარჩევი კონკურსი გამოაცხადეს. შემოსული განაცხადებიდან საუკეთესო 20 კანდიდატი შეირჩა. პირველი საკონკურსო შოუ 12 იანვარს შედგება. კონკურსები 16 თებერვლამდე – ეროვნულ ფინალამდე გასტანს. საკონკურსო შოუებში თავდაპირველად, ათ-ათი კონკურსანტი მიიღებს მონაწილეობას, რომელთაგან მომდევნო ტურში ხუთი მათგანი გადავა. შოუების წამყვანები ცნობილი ტელესახეები იქნებიან. გერმანიის წარმომადგენელმა ლენა მაიერ-ლანდრუტმა 55-ე ევროფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა. ლენა 56-ე ევროფესტივალზეც მონაწილეობდა და მეათე ადგილი მოიპოვა.

ტელეკომპანია სიენენმა 2012 წლის ევროფესტივალს ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა. ვიდეომასალაში ევროვიზიის კონკურსში გამარჯვების მნიშვნელობაზე აღმასრულებელი პროდიუსერი ედილ კერიმლი, ბაქოს მერი მიქაილ ჯაბაროვი და 2011 წლის კონკურსის გამარჯვებული ელდარ გასიმოვი საუბრობენ. ვიდეომასალა ტელეკომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია.

2012 წლის ევროფესტივალს აზერბაიჯანი მასპინძლობს. გრანდიოზული კონკურსის ნახევარფინალები 22 და 24 მაისს, ხოლო ფინალი 26 მაისს შედგება.

**ნათია უზნაძე, ევროვიზიის საპროდიუსერო ჯგუფის წარმომადგენელი:**

– საზოგადოებრივი მაუწყებელი საპროდიუსერო ჯგუფებს, მომღერლებს, მუსიკოსებსა და კომპოზიტორებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ კონკურსში. შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მომღერლებმა საკონკურსო სიმღერასთან (სიდი) ერთად უნდა წარმოადგინონ ავტობიოგრაფია და ფოტოსურათი.

*– წინა წლებში მონაწილე კონკურსანტებს აქვთ უფლება კონკურსში ისევ მიიღონ მონაწილეობა?*

– რა თქმა უნდა. შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ყველას აქვს მეორედაც და მესამედაც.

*– რა მოთხოვნები გაქვთ დაწესებული კონკურსში მონაწილეთათვის?*

– საკონკურსო სიმღერა სპეციალურად ამ კონკურსისთვის, ქართულ ან ინგლისურ ენებზე უნდა იყოს შექმნილი, რომლის ხანგრძლივობა სამი წუთია. მთავარი ის არის, რომ ეს სიმღერა გაჟღერებული არ უნდა იყოს.

*– როდის სრულდება განაცხადების მიღება?*

– განცხადებების მიღება 15 დეკემბერს დავიწყეთ და 15 იანვრამდე გაგრძელდება.

*– ვინ შეარჩევს საუკეთესოებს?*

– შემოსული განაცხადებიდან ჟიური საუკეთესოებს შეარჩევს და წარადგენს ეროვნული კონკურსის ფინალურ კონცერტზე. გამარჯვებულს ქართველი ერი სმს-ების საშუალებით და კომპეტენტური ჟიური ერთობლივად გამოავლენენ. ეროვნული კონკურსის ფინალისტი კი საქართველოს 57-ე ევროფესტივალზე წარადგენს.

# ყაზახეთის ქალაქ ჟანაოზენში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

ყაზახეთის ქალაქ ჟანაოზენში მომხდარი შეტაკებების გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ბრძანებით, საგანგებო მდგომარეობა 31 იანვრის ჩათვლით არის გამოცხადებული.

არეულობა ნავთობკომპანიების თანამშრომლების საპროტესტო გამოსვლების შემდეგ დაიწყო. ბოლო ერთი თვის განმავლობაში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებებს 16 ადამიანი ემსხვერპლა, ასამდე დაიჭრა.

თვითმხილველების განცხადებით, იყო შემთხვევები, როდესაც პოლიცია შეუიარაღებელ მუშებსაც ესროდა, თუმცა, როგორც ოფიციალური ორგანოების წარმომადგენლები აცხადებენ, პოლიციამ ცეცხლი შეიარაღებული დემონსტრანტებისგან თავდაცვის მიზნით გახსნა.

ამ მასშტაბების შეტაკებები და გამოსვლები პოსტსაბჭოთა ყაზახეთში არ მომხდარა.

ჟანაოზენსა და მის მეზობელ დასახლებაში მასობრივი არეულობა დეკემბრის შუა რიცხვებში დაიწყო.

მასობრივ გამოსვლებში მონაწილეობდნენ ნავთობ-კომპანიის გაფიცული თანამშრომლები. ისინი მანამდე ნახევარი წლის განმავლობაში ითხოვდნენ ხელფასების გაზრდასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

ხელისუფლებამ არეულობაში „ხულიგნები" დაადანაშაულა და ამით გაამართლა ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. მიმდინარეობს გამოძიება.

17 დეკემბერს ყაზახეთის პრეზიდენტმა ქალაქ ჟანაოზენში 20 დღით საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

ყაზახეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დადგენილია რამდენიმე ათეული პირი, რომლებიც არეულობის აქტიური მონაწილეები იყვნენ.

გავრცელდა ცნობა იმის შესახებაც, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრული პოლიციელების წინააღმდეგ, ვინც მღელვარების ჩასახშობად ხალხს დამიზნებით ესროდა.

კერძოდ, ინტერნეტით გავრცელდა სამოყვარულო ვიდეო, რომელიც ჟანაოზენში, შეუიარაღებელი დემონსტრანტებისთვის ცეცხლის გახსნის სცენებს ასახავს. შემაძრწუნებელმა ვიდეომ დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

აღშფოთებულ ხმებს აშშ-ში ყაზახეთის ელჩიც შეემატა. პარალელურად, გავრცელდა ცნობა, რომ ყაზახეთის გენერალურმა პროკურორმა გაერო მიიწვია სისხლიანი შეტაკებების გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

აშშ-ში ყაზახეთის ელჩმა „შოკისმომგვრელი" უწოდა ვიდეოს, რომელიც ყაზახეთის დასავლეთში, ქალაქ ჟანაოზენშია გადაღებული და უიარაღო დემონსტრანტებისთვის ცეცხლის გახსნის სცენებს ასახავს მაშინ, როცა ისინი გაქცევას ცდილობენ.

ელჩის განცხადებით, მთავრობა ამ ვიდეოს ირგვლივ გამოძიების ჩატარებას გეგმავს.

ეს, ცხადია, შოკისმომგვრელი კადრებია. ამის შესახებ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით – ეს როგორ მოხდა ...

რეგიონში მიმდინარეობს საპროტესტო გამოსვლები, რომელსაც უმუშევარი და სამსახურებიდან დათხოვნილი ნავთობის სფეროს მუშები აწყობენ.

ცეცხლის გახსნის ვიდეო, გავრცელებული ვარაუდით, ჟანაოზენის იმ მოედანზე მდგარი სახლის ფანჯრიდან არის გადაღებული, სადაც აქცია მიმდინარეობდა. ვიდეო 20 დეკემბერს გავრცელდა „იუთუბით".

ელჩი ერლან იდრისოვი 21 დეკემბერს ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე წარდგა. მისი თქმით, მთავრობის წარმომადგენლებმა ვიდეო ნახეს და გამოძიების ჩატარებას გეგმავენ.

– ეს, ცხადია, შოკისმომგვრელი კადრებია. ამის შესახებ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით – ეს როგორ მოხდა, ვინ გადაიღო ვიდეო და ასე შემდეგ. ეს ექსპერტებმა უნდა გაარკვიონ. პროცესები 16-ში მოხდა, ვიდეო კი 21-ში გავრცელდა, მაგრამ ნამდვილად ის არის ცნობილი, რომ მთავრობამ იცის ამ ვიდეოს არსებობა და ყველაზე მაღალ დონეზე ტარდება ზომები ამ და სხვა მსგავსი ფაქტების გამოსაძიებლად, – განაცხადა ელჩმა და დასძინა, თუ დადასტურდა, რომ ვიდეოები, რომლებიც ვიხილეთ, სინამდვილეს შეესაბამება, დამნაშავეები პასუხს აგებენო.

ჟანაოზენში პირველი შეტაკება 16 დეკემბერს მოხდა – მას შემდეგ, რაც ნავთობის სფეროს მუშები, რომლებიც გაფიცვას აწყობდნენ, პოლიციას აუჯანყდნენ ქალაქის მოედანზე, სადაც დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა იგეგმებოდა.

ყაზახეთის ოფიციალური პირების ინფორმაციით, შეტაკებას 16 ადამიანი ემსხვერპლა და 80-ზე მეტი დაიჭრა.

დემონსტრანტები აცხადებენ, რომ დაღუპულების რაოდენობა ამას ბევრად აჭარბებს, თუმცა მათი ცნობების დამოუკიდებლად გადამოწმება ვერ ხერხდება.

სამოყვარულო ვიდეოს პირველ კადრებზე აღბეჭდილია, როგორ გადიან მოედნიდან დემონსტრანტები და ფეხით მოსიარულეები. პოლიცია კადრში არ ჩანს. ზოგიერთი დემონსტრანტი პოლიციის მიმართულებით ქვებს ისვრის.

შემდეგ ისმის სროლის ხმა და კადრში შემოდიან ფარებაფარებული პოლიციელები. როგორც კადრებზე ჩანს, რამდენიმე დემონსტრანტს გაქცევისას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესვრიან.

სროლის შეწყვეტის შემდეგ ერთი კაცი მიწაზე გაუნძრევლად წევს, მეორე კი კოჭლობით ცდილობს იქაურობის დატოვებას. პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი მოქმედებას იწყებს – რამდენიმე პოლიციელი მიწაზე გაწოლილ დემონსტრანტებს ხელჯოხით სცემს.

ყაზახეთის მთავრობამ პირველ დღეებში გაამართლა ძალის გამოყენება დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომელთაც ის „ხულიგნებს" უწოდებს. პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი აცხადებდა, პოლიციამ კანონის ფარგლებში იმოქმედაო.

ოფიციალური ვერსიით, პოლიციელები მხოლოდ ჰაერში და მიწაზე ისროდნენ – სიკვდილის შემთხვევები კი ასხლეტილმა ტყვიებმა გამოიწვია, თუმცა შეტაკების თვითმხილველები მთავრობისგან განსხვავებულ ვერსიას ჰყვებიან და აცხადებენ, რომ პოლიციამ დემონსტრანტებს განზრახ გაუხსნა ცეცხლი.

მას შემდეგ საპროტესტო აქციები მთელ დასავლეთ ყაზახეთს მოედო, თუმცა, რადიო თავისუფლების ყაზახური სამსახურის ცნობით, ჟანაოზენში ამჟამად დაძაბული სიმშვიდეა დამყარებული. ქალაქის ქუჩებში დიდძალი შემადგენლობით დგას პოლიცია, საგანგებო მდგომარეობა კი 31 იანვრამდეა გამოცხადებული.

*მოამზადა გურა მამულაშვილმა*

## ყველამ გაითვალისწინეთ! ჰოროსკოპი 5 იანვრისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ლომი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, ყველაფერს ახერხებთ. **ქალწული** – არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **სასწორი** – არ გარისკოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – სახლში კარგი ახალი ამბავია მოსალოდნელი, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** – თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი გამოგივათ. **მერწყული** – არ მოდუნდეთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 2. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 3. მე-6 საუკუნის ეკლესია თბილისში; 4. ფართო, ხეივნიანი ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 5. ღვინისა და დროსტარების საპატივცემულო დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. კვირის ერთ-ერთი დღე; 11. უდაბნოში მზარდი დაბალი ხე, ბუჩქი; 12. იაპონიის იმპერატორი; 13. წვრილად დაჭრილი, შეკაზმული და შემწვარი ხორცისგან მომზადებული ფრანგული კერძი; 16. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. სახელმწიფო ევროპაში; 21. ირლანდიელ მწერალ ჯოისის რომანი; 23. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ორკორპუსიანი გემი; 7. ჯარის რჩეული ნაწილი; 8. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში; 9. ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების შესახებ; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. ყავის მარცვლებისა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 22. ჰოლანდიის კუთვნილი კუნძული ჩრდილოეთის ზღვაში; 24. განუხორციელებელი იმედი, ოცნება; 25. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 26. მსუბუქი ავტომობილის ძარის ერთ-ერთი ტიპი.

*შეადგინა თ. კობალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოკაინი; 2. ინდოეთი; 3. პიგმენტი; 4. ბაკარა; 5. პეიზაჟი; 8. ლინდერი; 9. კაბოშონი; 12. ბრონეული; 13. სტატუსი; 16. „მალვაზია"; 17. კალორია; 19. კაპელო; 20. ლამურა.

**თარაზულად:** 6. კომანდორი; 7. მავრები; 8. „ლამარა"; 10. სინთეზი; 11. მალა; 14. მეტაფორა; 15. მოდერატო; 18. ბაგები; 21. ამსტელი; 22. გაუჩო; 23. ოდისეა; 24. „ნატახტარი".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ვეჯვუდი"; 2. საფიხვნო; 3. ალოტროპია; 4. დესპანი; 5. სემირამიდა; 10. ლიმონი; 11. ხელბურთი; 12. იმერეთი; 13. დეზაჟიო; 16. პარამეტრი; 17. ჯაყელები; 19. ალტიტუდა; 21. ცერნი; 23. სპიჩი.

**თარაზულად:** 6. თედიაშვილი; 7. დემეტრე; 8. კულუხი; 9. ერდოგანი; 14. ჩიჩერონე; 15. პრეამბულა; 18. თუთია; 20. თაკვერი; 22. ფოსტერი; 24. ბეშუმი; 25. სტრაბონი; 26. მაჩუბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „რუსეთი რუსებისათვის“

– რუსეთი რუსებისათვის, – ამ ლოზუნგს რუსეთის მოსახლეობის 60% უჭერს მხარს, – წერს გერმანული „შპიგელის“ მოსკოველი მიმომხილველი.

მისი მონაცემებით, რუსეთში დაახლოებით 9 მილიონამდე შრომითი მიგრანტი ცხოვრობს, რომელთაგან უმეტესს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება არ აქვს. მათი უმრავლესობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოსახლეობაა და ისინი ძირითადად მშენებლობებსა და ბაზრებში მუშებად მუშაობენ, ქუჩებსა და ეზოებს გვიან.

თუმცა, რუსეთის მცხოვრებთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ ქვეყანაში ძალიან ბევრი უცხო ქვეყნის მოქალაქე ცხოვრობს.

ასე მაგალითად, მოსკოვის ოლქში მდებარე ქალაქი ხოტკოვო უცხო ქვეყნის მოქალაქეთაგან თავისუფალ ქალაქად მას შემდეგ იქცა, როდესაც იქ ტაჯიკმა ერთ ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში რუსი ეროვნების ადამიანი მოკლა. იმავე ღამეს, ქალაქის ადმინისტრაციის განკარგულებით, ამ ქალაქში მცხოვრები ყველა შრომითი მიგრანტი გაასახლეს.

– რუსეთი რუსებისათვის, – ამ ლოზუნგს რუსეთის მცხოვრებთა 60% უჭერს მხარს – კალინინგრადიდან ვლადივოსტოკამდე.

ისეთი ორგანიზაცია კი, როგორიცაა „სვეტლაია რუს“, ხელს უწყობს ამ ლოზუნგის პრაქტიკაში განხორციელებას, – წერს გერმანული „შპიგელი“ და აღნიშნავს, რომ გასტარბაიტერებს რუსეთში ძლივს ითმენენ.

ცნობისთვის, „რუსეთი რუსებისთვის“ (რუს. „როსსია დლია რუსსკიხ“),



პოლიტიკური ლოზუნგი და ეთნო-ნაციონალისტური დოქტრინაა, რომლის თანახმადაც, რუსეთის სახელმწიფოში პრივილეგირებულ ეთნიკურ ჯგუფს შეიძლება მხოლოდ რუსები წარმოადგენდნენ.

იდეის მხარდამჭერები ყველა სხვა ხალხის წარმომადგენლებს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად მიიჩნევენ ანდა ქვეყნიდან მათ გაძევებას ქადაგებენ. ლოზუნგი XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, თუმცა განსაკუთრებული პოპულარობა XX-XXI სს. მიჯნაზე მოიპოვა.

ეს იდეა ხშირად უცხოელების მიმართ ძალადობის სახით რეალიზდება, რასაც თან სდევს მსხვერპლი.

ლოზუნგის ავტორობას სხვადასხვა წყარო მიაწერს XIX ს. სამ პოლიტიკურ მოღვაწეს: „შავი ასეულების“ ერთ-ერთ იდეოლოგს ვლადიმერ გრინგმუტს, იმპერატორ ალექსანდრე III-ს ან გენერალ მიხაილ სკობელევს.

რუსეთის პირველი რევოლუციის (1905-07 წწ.) დროს პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით ეს ლოზუნგი ბევრი რადიკალური ნაციონალისტური ჯგუფის საბრძოლო შეძახილად იქცა. იდეის მხარდამჭერები მიიჩნევდნენ, რომ „ერთიან და განუყოფელ“ რუსეთის იმპერიაში წამყვანი როლი მხოლოდ რუსებს ეკისრებოდათ.

ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი იმპერიაში მცხოვრები სხვა ხალხების მიმართ, მათ უმადურობასა და ორპირობაში ადანაშაულებდნენ და ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას იცავდნენ.

მიუხედავად ამისა, გაღატაკებულ და ნაციონალიზმის მიმართ იმხანად ინდიფერენტულ რუს გლეხობასა და მუშებში იდეამ ფეხი ვერ მოიკიდა.

ლოზუნგის კრიტიკით გამოდიოდნენ ცნობილი პოლიტიკოსები პაველ მილიუკოვი და სერგეი ვიტე, რომლებიც თვლიდნენ, რომ მსგავსი განწყობები იმპერიის ერთიანობას საფრთხეს უქმნიდა.

თანამედროვე რუსეთში ლოზუნგი „რუსეთი რუსებისთვის“ მზარდი პოპულარობით სარგებლობს. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლითა და 1990-იანი წლების კრიზისით გამოწვეული რევანშისტული განწყობები რუსული საზოგადოების დიდ ნაწილში, მეორე მხრივ კი – მიგრაციის გაძლიერება ცენტრალური აზიიდან, ჩინეთიდან და კავკასიიდან.

დამოუკიდებელი სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ გამოკითხულებში იდეის მხარდამჭერთა რიცხვი 46%-დან (1998 წ.) 58%-მდე (2005 წ.) გაიზარდა.

ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციათა თქმით, ამას ხელი შეუწყო ვლადიმირ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გატარებულმა საგარეო და საშინაო პოლიტიკის კურსმა, მ.შ. ჩეჩნეთის ომმა, ანტიქართულმა რიტორიკამ და ა.შ. თვით იდეის მხარდამჭერებში ლოზუნგის შინაარსი არაერთგვაროვნად აღიქმება, თუმცა, დიდი ნაწილი რუსებს სწორედ ეთნიკური ნიშნით და არცთუ იშვიათად „სლავური“ გარეგნობით გამოარჩევს. არარუსები და უცხოელი მიგრანტები აღიქმება, როგორც ყოველგვარი უბედურების წყარო და საფრთხე რუსეთის სახელმწიფოსათვის. ლოზუნგი ხშირად გაისმის ეროვნულ დღესასწაულებზე, პარტიულ მანიფესტაციებზე და ქსენოფობიური ჯგუფების მიერ უცხოელებზე გახშირებული თავდასხმებისას.

# იტალიელ პარლამენტარებს კრიზისი არ შეეხოთ და რეკორდულ ხელფასებს იღებენ

ქვეყანაში არსებული მწვავე კრიზისის მიუხედავად, იტალიის პარლამენტარები ევროპაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი დეპუტატები არიან.

ასეთ დასკვნას შეიცავს



ნაციონალური სტატისტიკური სააგენტოს სპეციალური კომისიის მოხსენება, რომლის თანახმადაც იტალიის პარლამენტის წევრის საბაზო ყოველთვიური ანაზღაურება 11 283 ევროა. ამას ემატება 3 503 ევრო სატრანსპორტო და სხვა ხარჯებისთვის.

იტალიელი პარლამენტარის ხელფასი 60%-ით აჭარბებს ევროკავშირში არსებულ საშუალო მონაცემს ცნობისთვის: ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატაში 630 დეპუტატია, ზედაში კი 315 სენატორი.

ექსპერტების აზრით, ასეთი მონაცემების გაცნობა იტალიის საზოგადოების კმაყოფილებას არ გამოიწვევს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ 2011 წლის დეკემბერში პრემიერ-მინისტრ მარიო მონტირ მთავრობამ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ახალი პაკეტი წარმოადგინა.

ანტიკრიზისული პროგრამა ითვალისწინებს დაფიციტის 20 მილიარდი ევროთი შემცირებას და კიდევ 10 მილიარდის გამოყოფას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის.

მთავრობის მიერ შეთავაზებული ზომები გულისხმობს იტალიის ისტორიაში უპრეცედენტო საპენსიო რეფორმის განხორციელებას, რომლის შედეგადაც საპენსიო ასაკი ქალებისთვის 62 წლამდე, მამაკაცებისთვის კი 66 წლამდე გაიზრდება.

გარდა ამისა, მოსალოდნელია დღგ-ს გაზრდა 2%-ით, ასევე ქონების გადასახადის ხელახალი შემოღება და სახელმწიფო აპარატის ხარჯების შემცირება.

შედარებისთვის, რუსეთშიც დღეს ყველაზე პრესტიჟული პროფესია დეპუტატობაა. სახელმწიფო სათათბიროში შეღწევას პოლიტიკისგან შორს მყოფი ადამიანები სარფიანობის გამო ცდილობენ. რამდენიმე მიზეზი, რაც სახელმწიფო დუმას ასე მიმზიდველს ხდის:

ანაზღაურება – ბონუსებისა და პრემიების გათვალისწინებით რუსი დეპუტატის ხელფასი 150 000 რუბლს აღწევს.

ბინა – დეპუტატს უფასო ბინა, ავეჯი და ტელეფონი აქვს.

ტრანსპორტი – პარლამენტის წევრი ყველა სახის ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობს, მას 24 საათის განმავლობაში სამსახურის ავტომობილი ემსახურება და უფასო სერვისებით სარგებლობს აეროპორტების ვიაიპი კლასის მოსაცდელ დარბაზებში.

კავშირი – დეპუტატი უფასო მობილური კავშირით, აიპოდითა და აიფონით სარგებლობს.

მედიცინა – პარლამენტარსა და მისი ოჯახის წევრებს ქვეყნის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო უფასოდ ემსახურება.

ის შეღავათიანი საგზურებით სარგებლობს კურორტებზე.

აქვს სახელმწიფო დაზღვევა და შეუძლია ანაზღაურებადი 48-დღიანი შვებულებით ისარგებლოს.

სხვა – რუსი კანონმდებლები დუმაში მოხვედრის შემდეგ დიპლომატის საზღვარგარეთის პასპორტებს ღებულობენ.

პოლიტიკაში ამ შეღავათების ხათრით მოსულები არც რუსეთის მეექვსე მოწვევის პარლამენტს აკლია.

მასში ყველაზე კაშკაშა სახე „პლეიბოის“ ვარსკვლავი მარია კოჟევნიკოვაა, რომელიც რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის პროტეჟეა.

27 წლის მსახიობი რუსული ჟურნალისთვის ორი წლის წინ გაშიშვლდა. პოლიტიკაში მარია პუტინის პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთიდან მოხვდა.

კოჟევნიკოვას მსგავსად, პოლიტიკაში პუტინმა 28 წლის ალინა კაბაევაც მოიყვანა. ალინაც ერთ-ერთი მათგანია, ვინც რუსული ჟურნალებისთვის წარსულში არაერთხელ იხდიდა. მას პრემიერთან რომანსაც აბრალებდნენ.

# სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა მამულიშვილი, მართლმადიდებელი, „საქართველოს სულიერი მისიისათვის“ სიცოცხლის ბოლომდე ულალატო, ერთგული მებრძოლი

**რამინ ნესტორის ძე ლუკავა**

დაკრძალვა: 5 იანვარს.

მისამართი: წალენჯიხა, მიქავას ქუჩა.

*თანამებრძოლები აფხაზეთიდან*

ამხანაგობა „ვაკე-266“ იუწყება, რომ გარდაიცვალა ამხანაგობის წევრი, ძვირფასი ქალბატონი

**დოდო იორდანიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

*ამხანაგობის სახელით, რეზო სხირტლაძე*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გაკოტრებული არაბი „ბიზნესმენი“ „ღირსეული ცხოვრებისთვის“ შვილს ყიდის

საუდის არაბეთში გაკოტრებულმა „ბიზნესმენმა“ ნასერ ელ-შაჰრიმ გართულებული ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად სოციალურ ქსელ „ფეისბუქ“-ში გასაყიდად თავისი ვაჟი გამოიტანა.




ინფორმაციას ამის შესახებ არაბული გაზეთი „აშ-შარქ ალ-აუსათი“ ავრცელებს.

ბიჭის ფასი – 20 მილიონი აშშ დოლარია და მისი გაყიდვით მამას „სიღარიბის დამარცხების“ იმედი აქვს. იგი ამტკიცებს, რომ ამ ექსტრემალური ნაბიჯის გადადგმა მას შემეგ გადაწყვიტა, რაც მის წინაშე „ყველა კარი დაიხურა“.

ნასერს ჰქონდა ბიზნესი, რომელიც ვალების ამოღებისა და ფინანსური დავების დარეგულირებას ემსახურებოდა. სასამართლომ ეს დაწესებულება უკანონოდ ცნო და მისი გაუქმების დადგენილება გამოსცა.

ამის შემდეგ ნასერმა დახმარებისათვის უმუშევარი საუდელების დახმარების ორგანიზაციას მიმართა, თუმცა მას უარი უთხრეს, ვინაიდან ეს ორგანიზაცია მხოლოდ მას ეხმარება, ვისაც 35 წელი ჯერ არ შესრულებია.

ნასერი აცხადებს, რომ შვილის გაყიდვით იგი შეძლებს „ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას“ თავისი მეუღლისათვის და ოჯახის სხვა წევრებისთვის.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს აშშ-ში, კალიფორნიის შტატში ცოლ-ქმარი უნივერმაღის წინ 25 დოლარად ბავშვის გაყიდვას ცდილობდა. ხოლო ბოლივიაში ქალმა ახლად დაბადებული ჩვილის გაყიდვა 140 დოლარად მოახერხა.

რაც შეეხება საუდის არაბეთს, იგი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე რელიგიური და ჩაკეტილი ქვეყანაა.

სახელი მან მიიღო მმართველი საუდიტების დინასტიის მიხედვით, რომლებიც ხელისუფლებაში მე-18 ს-ში მოვიდნენ.

აქ მდებარეობს პროვინცია ჰიჯაზი – წინასწარმეტყველ მუჰამედის სამშობლო და ისლამის აკვანი. აქ არის მთავარი მუსლიმანური სიწმინდეები – მექა და მედინა, სადაც ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ასრულებს ჰაჯს.

თანამედროვე საზღვრებში საუდის არაბეთი არსებობს 1926 წლიდან, როდესაც გაერთიანდნენ არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე სამთავროები.

ბრძოლაში პირველობა ნეჯდის მმართველმა აბდელ აზიზ ას-საუდმა მოიპოვა, რომელიც 1932 წელს მეფედ გამოცხადდა.

მისი სიკვდილის შემდეგ, 1953 წლიდან ქვეყანას მისი შვილები ერთპიროვნულად მართავენ.

სტაბილურობის შენარჩუნება და ექსტრემიზმთან ბრძოლა ყოველთვის შედიოდა მმართველი ოჯახის ინტერესებში. ამიტომ ქუვეითში ერაყის შეჭრის შემდეგ (1990) აქ განათავსეს აშშ-ს სამხედრო ბაზები.

ოპოზიციური აზრის შეზღუდვამ საუდის არაბეთში ხელი შეუწყო „ალ-ქაიდას“ ტიპის ექსტრემისტული დაჯგუფებების აღმოცენებას, რომლებიც თავისი ინტერესებისათვის იყენებენ არაბების უკმაყოფილებას ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს როლის გააქტიურების გამო.

2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტის მონაწილენი ძირითადად საუდის არაბეთის მოქალაქენი იყვნენ, რამაც ქვეყანა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა.

*მოამზადა გურა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი
5 იანვარი**

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 10.00 მონტე-კარლოს ცირკის 33-ე საერთ. ფესტივალი 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ან. ფ. „მადაგასკარი„ 14.00 კონცერტი 16.30 მხ. ფ. „როგორ გავყვე მილიონერს ცოლად„ 18.00 პეპე და მეგობრები 19.15 ქართ. ფ. „სერენადა„ 21.00 სერ. „ნიკიტა„ 22.00 კონცერტი 00.00 მხ. ფილმი „ფრანგული კოცნა„ 02.10 სი ბემოლი 03.00 მხ. ფილმი „ჩვენ ანგელოზები არ ვართ„ 05.00 კონცერტი 05.50 მე-17 საერთ. ფესტივალი — მასის ცირკი

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 დოკ. ფილმი 10.00 საბ. ფილმი „საიდუმლო კუნძული„ 11.30, 14.00 დოკ. ფილმი 12.30, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. „ელიტარული უბანი„ 20.00 მხ. ფილმი „მეგობარი საშობაოდ„ 21.30 მხ. ფილმი „უნებლიე მილიონერი„ 01.00 მხ. ფილმი „ამერიკის ფავორიტები„

08.00 ანიმაცია „მონსტრების კორპორაცია„ 10.00 სერ. „როსალინდა„ 11.00 სერ. „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 ქართ. ფ. „ჭრიჭინა„ 14.00 შერეკილები 15.30 კომედი შოუს საგაზ. კონცერტი 17.00 სერ. „ავრორა„ 18.45 სერ. „მიყვარხარ ლოლა„ 19.45 სერ. „სახლი მეზობლად„ 22.00 პროფილი (საახალწლო ბესტი) 23.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 00.00 ქართ. ფილმი „ყველაფერი კარგად იქნება„ 02.00 ქართ. ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი„ 04.00 მხ. ფილმი „ფანტომასი„ 06.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში 2

07.30 ან. ფილმი 08.00, 09.00, 10.00 ქრონიკა 08.15 სერ. „ჰანა მონტანა„ 09.15 სერ. „იასონი და არგონავტები„ 1-ლი ს. 10.00 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25 ქრონიკა 11.40 სერ. „ქალის სიტყვა„ 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. „დაკარგულები 6„ მე-4ს. 16.00 სერ. „შურისძიების საფასური„ 17.40 სერ. „ევა ლუნა„ 19.05 სერ. „ბედისწერის ქალა„ 21.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 22.00 მხ. ფილმი 23.40 კონცერტი 00.30 მხ. ფილმი 02.05 მხ. ფილმი 03.35 მხ. ფილმი 06.30 სერ. „მარინა„

08.00 მხ. ფილმი 10.00 ან. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 16.50 პულსი (საახალწლო) 17.10 ან. ფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი 22.00 კონცერტი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.50 კონცერტი – სამი ტენორი 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი „ამაღლება„ 13.20 კონცერტი — პლაჩიდო დომინგო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 მხ. ფილმი „ზოლიანი დოლი„ 16.55 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 17.30 დრო და ტრადიციები 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ. ფილმი „იმერული ესკიზები„ 21.00 კალენდრის შესახებ 22.25 დოკ. ფილმი „შემოდგომა„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმის „საახალწლო ჩვეულებანი„ 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კონცერტი — ბ. ბერეზოვსკი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**5 იანვარი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-15, ღამით — 4-7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-17, ღამით — 9-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 3-12, ღამით — -9-2

**ამინდის პროგნოზი 5 იანვრისთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა



# 4 იანვრიდან!

## გაზეთი „ახალი თაობა“ გთავაზობთ საშობაო-საახალწლო აქციას

# წიგნი 1 ლარად

## „ახალი ქართული პროზა“ 16 ტომი



**ტომი 1.** ოთია იოსელიანი. ქალი მაინც ქალია



**ტომი 2.** გურამ მეგრელიშვილი. ორი მილიონი უფასოდ



**ტომი 3.** ლაშა იმედაშვილი. სამი მკვლელობა ძველ თბილისში



**ტომი 4.** ნინო სადღობელაშვილი. თავშესაფარი



**ტომი 5.** ირაკლი ლომოური. პარალელური საქართველოს ქრონიკები



**ტომი 6.** ბაჩო კვირტია. მძინარე ციკლოპის ძახილი



**ტომი 7.** გიგი ალხაზიშვილი. რკინის კარს აქეთ და იქით



**ტომი 8.** მიხო მოსულიშვილი. ფრენა უკასროდ



**ტომი 9.** გურამ ქართველიშვილი. ბაგრატიონის ქალი



**ტომი 10.** გიზო ნიშნიანიძე. პაემანი თბილისთან



**ტომი 11.** გურამ ოდიშარია. სოხუმში დაბრუნება



**ტომი 12.** გოდერძი ჩოხელი. სულეთის კიდობანი



**ტომი 13.** მაია ბურჭულაძე. მკაცრი რეჟიმის სასახლე



**ტომი 14.** ლაშა იმედაშვილი. პატრიარქის ზაფხული



**ტომი 15.** ოთია იოსელიანი. მუხლზე დაწერილი ბარათები



**ტომი 16.** ნინო ბასილია. შიში

# 3 იანვრიდან

**უნიკალური პროექტი**

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება უნიკალური პროექტის

**„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“**

მე-17 ტომი

# რეიგანი

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


## კროსვორდი

**შვეულად:** 1 ბერძნული მითოლოგიის გმირი; 2. თიხის ფლეიტა; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. მთიანეთი შუა-აზიაში; 5. ძვლის მაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 8. თანამედროვე გემოვნების და მოთხოვნილების შესაფერისი რამ; 9. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის“ ავტორი; 12. მოკარნახე თეატრში; 13. ძველი ქართული დამწერლობა; 16. ცხენების სადგომი, თავლა; 17. სამრეწველო რაიონი სამხრეთ პოლონეთში; 19. მკბენარა მწერი; 20. ქართული მინერალური წყალი.

**თარაზულად:** 6. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 7. „ბარსელონას“ დამფუძნებელი; 8. ქართული მულტიფლიკაციის ფუძემდებელი; 10. იაპონიის იმპერატორი; 11. ირლანდიური ცეკვა; 14. საკანონმდებლო ორგანო სერბეთში; 15. ძალიან ღრმა ხრამი, ხევი; 18. მოხეტიალე ცირკი; 21. მკვრივი ქანების სანგრევი, ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 22. პატარა ბოსტანი; 23. ესპანური ავიაკომპანია; 24. ტკბილეულის დამზადების ოსტატი.



*შეადგინა თ. გოგინაშვილმა.*